# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 14 მარტი 2006 №56 (2678) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



**რა უნდოდა კვინიკაძეს მსაჯებთან?!**

სიონი: პროტესტს ვაცხადებთ!

3



**ცქიტიშვილი ბოხუმშია**

ეროვნულს დოქტორი შუბერტი უწამლებს

4



**ცერცვი და კედელი**

სერ ბობი რობსონის ღია წერილი ჟოზე მაურინიუს

8

# ალბანეთ-საქართველოს შორის ჭირიანმა ქათამმა გაირბინა

## ფედერაცია ტოპმიოლერის პასუხს ელის



22 მარტს ტირანაში ალბანეთ — საქართველოს ამხანაგური მატჩია დანიშნული, მაგრამ ეს შეხვედრა ან გაიმართება, ან არა.

მიზეზი: ალბანეთში ქათმის გრიპის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჩვენი ნაკრების იქ გამგზავრებაზე ჭოჭმანობს.

საქმის კურსშია საქართველოს ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერიც, ვინც გერმანიიდან დღეს ღამით ჩამოდის თბილისში და გუნდის ალბანეთში წასვლა-არწასვლაც დღეს-ხვალ გადაწყდება.

ალბანეთში არწასვლის მეორე მიზეზი შესაძლოა, ისიც იყოს, რომ 22 მარტი ფიფას დღე არ არის და ქართველ ლეგიონერთა უმეტესობას თავიანთი კლუბები საალბანეთო მატჩისთვის არ უშვებენ.

დავით თავართქილაძე

# ყაველაშვილს ყაველი გასვლია კი არა...

## მიშამ ბაზელს გრასჰოპერი დაამარცხებინა

ბევრჯერ გინახავთ, 35 წლის ფეხბურთელი, რომელსაც წელიწადზე მეტი არსად უთამაშია, საკმაოდ ყოჩაღ ევროპულ კლუბში გადასულიყოს? სენსაციაა, აბა, რა არის — მიხეილ ყაველაშვილი შვეიცარიის საუკეთესო გუნდ „ბაზელში“ ჩაირიცხა. და ეს ყველაფერი უცბად მოხდა: „ბაზელს“ კრისტიან გროსი წვრთნის, რომელიც ადრე „გრასჰოპერს“ თავკაცობდა და მაშინ „ყაველა“ მისი შეგირდი იყო. გროსმა ჩვენიანი მოიკითხა, ყაველაშვილმა ერთი-ორი ვარჯიში ჩაატარა და 10 მარტს კონტრაქტიც გაფორმდა. თან დებიუტს არ იკითხავთ?! „ბაზელმა“ გუშინწინ შვეიცარიის სუპერლიგაში სწორედ „გრასჰოპერს“ მოუგო 2:1 და ყაველაშვილმა გადამწყვეტი გოლი შეაგდო ბოლო წუთზე. ვერაფერს იტყვი... მიშას გუნდი უეფას თასის მერვედფინალშია გასული და ფრანგული „სტრასბურის“ გაგდების კარგი შანსიც აქვს.

„ბაზელის“ ქართველ ახალწვეულთან ინტერვიუს მე-4 გვერდზე წაიკითხავთ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოპის კალაძე დაუჭირეს

## ვინ შეცვლის არველაძის შეუცვლელ აშვეთიას?

კლაუს ტოპმიოლერმა ალბანეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის 24 ფეხბურთელი გამოიძახა. ამათგან 22 ლეგიონერია და აშკარაა, რომ გერმანელ მწვრთნელს ამჯერად საქმეში ყველა ლიდერის ნახვა სურს. უფრო სწორად, სურდა...

სიას მელანი ჯერ არ შეშრობოდა, ჰერ კლაუსს მასში ორი ცვლილების შეტანა რომ მოუხდა. ტრავმირებული მალხაზ ასათიანის ნაცვლად სიაში გიორგი ქინქლაძის გვარი გაჩნდა. ალბანეთში არ იქნება შოთა არველაძეც: 22 მარტს მისი „ალკმაარი“ ჰოლანდიის თასის ნახევარფინალში პსვ-ს ხვდება და კლუბის ხელმძღვანელობა მთავარმეგოლეს ასე იოლად ვერ ელევა.

დიდი შანსია, ცვლილებები ამით სულაც არ ამოიწუროს. იმავ 22 მარტს რუსეთის თასის მეოთხედფინალში ყაზანის „რუბინი“ მოსკოვის ცსკა-ს ხვდება, ტოპმიოლერის სიაში კი ერთბაშად ოთხი რუბინელია — გიორგი ქინქლაძე, მიხეილ აშვეთია, ლაშა სალუქვაძე და ნუკრი რევიშვილი. გამოუშვებს ყურბან ბერდიევი ქართულ კვარტეტს ნაკრებში? შესაძლოა, რომელიმე მათგანს კიდეც შეელიოს, მაგრამ თითქმის გადაწყვეტილია, რომ ნაკრებს ვერ დაეხმარება მიხეილ აშვეთია. ის რამდენიმე დღის წინ გადავიდა „რუბინში“ და იქ ფეხის მოსაკიდებლად დრო სჭირდება, ასეთ პირობებში კი არათუ ოფიციალურ შეხვედრას, თითოეულ ვარჯიშსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს კარგად ესმის თავად ბერდიევსაც.

სათასო ნახევარფინალი ელის კიევის „დინამოსაც“. ბოლო შეხვედრაში ოთარ მარცვალაძე სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ანატოლი დემიანენკო კი მოედანზე მყოფი ფორვარდების გარჯით უკმაყოფილო დარჩა. შესაძლოა, კიეველთა მთავარმა მწვრთნელმა ჩვენებური 22 მარტს ლვოვში იახლოს და „კარპატთან“ შეხვედრაში თავის გამოჩენის შანსიც მისცეს.

და კიდევ: გადაწყვეტილია, რომ ალბანეთში ნაკრებს ვერაფრით დაეხმარება კახა კალაძე. ეროვნული გუნდის კაპიტანი ბოლო შეხვედრებში „მილანის“ ერთ-ერთ ლიდერად იქცა და კლუბის ხელმძღვანელობამ მის გათავისუფლებაზე უარი განაცხადა.

საალბანეთო სია საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებით ალბათ მას შემდეგ შეივსება, რაც ტოპმიოლერი მორიგი ტურის შეხვედრას მიადევნებს თვალს. ტური, მოგეხსენებათ, ხვალ გაიმართება, კლაუს ტოპმიოლერი და ნოდარ ახალკაცი კი დღეს ღამით ჩამოვლენ თბილისში.

**გიორგი ნოზაძე**

# სამსაჯო მეოთხე შეცვალა, პროფლიგამ — ადგილი

მე-18 ტურის შეხვედრა ქუთაისის „ტორპედოსა“ და გორის „დილას“ შორის ეროვნული კატეგორიის არბიტრმა დავით სანაიამ განსაჯა. მატჩზე დამკვირვებლად მივლენილმა იოსებ ლორთქიფანიძემ კი მას დაბალი შეფასება დაუწერა და შესაბამისი პატაკი აახლა ფეხბურთის ფედერაციას.

სამსაჯო კომიტეტმა განიხილა დამკვირვებლის პატაკი და დავით სანაიას ერთმატჩიანი უქმობა მიუსაჯა. მომდევნო ტურში სანაია თბილისის „დინამოსა“ და „ამერის“ შეხვედრაზე მეოთხე მსაჯად იყო დანიშნული, თუმცა ახლა დისკვალიფიცირებულ კოლეგას ლევან მიქელაძე შეცვლის.

აქვე გაცნობებთ, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ცნობით, „დინამო“ — „ამერის“ ხვალინდელი მატჩი, რომელსაც „იმედი“ პირდაპირ ეთერში აჩვენებს, „ეროვნულის“ ნაცვლად მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება. ეს „დინამოს“ თხოვნით მოხდა, რადგან სარაგბო მატჩის შემდეგ „ეროვნულის“ საფარი გვარიანად შელანძულია.

**გიორგი ნოზაძე**

### ჰოლანდია

II დივიზიონი. XXXIV ტური

აპელდორნი 1:1 ექსელსიორი
კამბური 2:1 ვოლენდამი
ემენი 2:2 გრააფსხაპი
ალმერე 1:2 ჰაარლემი
სიტარდი 0:3 დორდრეხტი
იგლსი 0:1 დენ ბოსხი
ჰელმონდი 2:0 მაასტრიხტი
ტელსტარი 0:1 ეინდჰოვენი
ოსი 2:1 ზვოლე
ვენლო 1:1 ვეენდამი

### საბერძნეთი

ეროვნული ლიგა
XXIII ტური

ლარისა 3:1 ქსანთი

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
XX ტური

სპარტა 1:0 სლოვაცკო

### ინგლისი

ჩემპიონატი. XXXVIII ტური

სტოკი 1:3 კრ. პალასი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXV ტური

მიუნხენი 0:1 ბოხუმი

### იტალია

სერია B. XXXII ტური

ტრიესტინა 0:1 ჩეზენა

სერია C1/B. XXVI ტური

პისტოიეზე 1:0 ლუკეზე

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXIX ტური

ამიენი 1:2 ვალანსიენი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXVI ტური

ბელენენსეში : ბრაგა გვიან გაიმართა



დავით სილაგაძე

შაბათს ბოლნისში „სიონი“— „ბათუმის“ შეხვედრა სკანდალური და, ცოტა არ იყოს, უცნაური ამბებით გამოირჩა. ბოლნისელები არაობიექტურ მსაჯობაზე ჩივიან და ხმამაღალ, მწვავე განცხადებებსაც არ ერიდებიან, თანაც ფეხბურთის ფედერაციაში პროტესტის შეტანასაც აპირებენ. მეტიც, „სიონის“ ვიცე-პრეზიდენტი დავით სილაგაძე „ბათუმთან“ მატჩის არბიტრ ლაშა სილაგავასა და დელეგატ შოთა ხინჩაგაშვილის ფეხბურთიდან მოკვეთასაც ითხოვს...



დავით კვინიკაძე

# რა უნდოდა კვინიკაძეს მსაჯებთან?!

## სიონი: პროტესტს შევიტანთ!

— სანამ ქართულ ფეხბურთში ლაშა სილაგავასნაირი მსაჯები და შოთა ხინჩაგაშვილის დარი დელეგატები იქნებიან, არაფერი გვეშველება, მათ ქართულ ფეხბურთში არაფერი ესაქმებათ. უახლოეს დღეებში „სიონი“ ფედერაციაში ოფიციალურ პროტესტს შეიტანს და სილაგავას დასჯას მოითხოვს.

**— მაინც რა მოხდა ასეთი, რითი ხართ აღშფოთებულები?**

— დავიწყებ იმით, რაც მატჩამდე მოხდა. ფედერაციის ყოფილი გენმდივანი დავით კვინიკაძე, ვისაც „ბათუმის“ ხელმძღვანელებთან ძველი ურთიერთობა აკავშირებს, მსაჯების ოთახში შებრძანდა და ნახევარი საათი იქ იყო. ჩვენ არ ვიცით, მსაჯების ოთახში რა ითქვა, თუმცა, ცხადია, ვეჭვობთ, რომ ამ ფაქტმა მსაჯობაზე გავლენა მოახდინა. მატჩისას კი სილაგავას „ბათუმისადმი“ სიმპათია აშკარად იგრძნობოდა. ჩვენ რამდენჯერმე ვნახეთ თამაშის ვიდეოფირი და დავრწმუნდით, რომ მსაჯობა მართლაც არაობიექტური იყო. „ბათუმს“ არაფერს ვერჩით, ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ, როცა მისი მწვრთნელი ოთარ გაბელია მსაჯს აფურთხებს და შენიშვნასაც არ იღებს, ამ დროს კი „სიონის“ მწვრთნელს აძევებენ, ვფიქრობ, ეს არასამართლიანია.

**— „სიონის“ საწინააღმდეგოდ სილაგავას რა ინტერესი უნდა ჰქონოდა?**

— ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ „ბათუმთან“ ძალიან ცუდი და არაობიექტური მსაჯობა იყო. ერთხელაც ვიმეორებ, ეჭვი გვაქვს, რომ ამაზე მატჩამდე მსაჯთა ოთახში დავით კვინიკაძის ყოფნამ იმოქმედა. კვინიკაძე მსაჯებთან მატჩის შემდეგაც შევიდა, ალბათ, მადლობის სათქმელად. ხოლო შემდეგ ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ იყო ის მსაჯთა ოთახში, კვინიკაძემ გვიპასუხა, რომ მატჩის დამკვირვებლის დამკვირვებელი იყო. არადა, ამ მატჩზე მას არანაირი სტატუსი არ ჰქონდა.

**— ამბობთ, რომ „სიონი“ დაიჩაგრა?**

— დიახ, დაიჩაგრა და ეს განზრახ გაკეთდა. ეტყობა, პირველ წრეში ბევრისთვის მოულოდნელი იყო „სიონის“ წარმატება, ალბათ, ასე ჩათვალეს, „სიონის“ ადგილი ლიდერებში არ არისო და, ჩემპიონატის განახლებიდან ბრძოლა გამოგვიცხადეს. ეს ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა, გვაფრთხილებდნენ კიდეც, რომ მეორე წრეში ჩვენი საწინააღმდეგო ამბები მოხდებოდა. მაგრამ ვერ ვიფიქრებდით, ანტისიონური კამპანია ასეთი აშკარა თუ იქნებოდა. „სიონი“ სუფთად თამაშობს და სხვებისგანაც იმავეს ვითხოვთ.

**— ახლა რას აპირებთ?**

— ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის იმედი გვაქვს, გვჯერა, რომ ის ობიექტურად გაარჩევს ბოლნისში მომხდარ ამბავს. ჩვენ გვესმის, ერთი-ორ დღეში კორუფციას და სხვა უმსგავსობებს ვერ გაუმკლავდება, მაგრამ მისგან გარკვეულ რეაგირებას მაინც ველით. გარდა ამისა, როგორც უკვე ვთქვი, ფედერაციაში სილაგავას არაობიექტური მსაჯობის გამო აუცილებლად შევიტანთ პროტესტს.

**კობა ინასარიძე**

# ამირან კაჭახიძე: გვითხრან და ვეტყვით

დავით სილაგაძესთან საუბრის შემდეგ დავუკავშირდით მეორე მხარესაც, სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელ ამირან კაჭახიძეს. როგორც მან გვითხრა, ბოლნისური ინციდენტის თაობაზე ინფორმირებულია და საკმაოდ მკაცრადაც უსაუბრია მსაჯებთან. ერთადერთი, არბიტრ ლაშა სილაგავასთან არ ულაპარაკია, რომელიც ამჟამად ავად არის.





ამირან კაჭახიძეს ლაშა სილაგავასთან ჯერ არ ულაპარაკია

შეხვედრის მსაჯებმა დაადასტურეს, რომ მათ ოთახში მატჩის დაწყებამდე ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე იმყოფებოდა, თუმცა იქვე განმარტეს, ამას ფრიად პროზაული მოტივი ჰქონდაო: იმავე დღეს ეროვნულ სტადიონზე საქართველო — პორტუგალიის სარაგბო მატჩი გაიმართა და კვინიკაძეს უთხოვია, ტელევიზორს შევხედავო, ბოლნისის სტადიონზე ერთადერთი ტელევიზორი კი სწორედ მსაჯთა ოთახშია.

— რა თქმა უნდა, მსაჯებს ამის უფლება არ ჰქონდათ. ვიცოდით, რომ „სიონი“ — „ბათუმის“ დაპირისპირება პრინციპული იქნებოდა და ფიფას მსაჯთა ბრიგადა ამიტომაც დავნიშნეთ. თითოეული ჩვენგანის ვალია, ყოველთვის განუხრელად დაიცვას დებულების მოთხოვნები, ნაცნობ-მეგობრობა და ხათრი კი გასამართლებელ საბუთად ვერ გამოდგება. მიუხედავად იმისა, რომ მომხდარს მატჩის მსვლელობასა და შედეგზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია, თუ „სიონი“ ოფიციალურად მოგვმართავს, შეხვედრის მომსახურე მსაჯთა ბრიგადის საკითხს სპორტულ-ტექნიკური კომისია აუცილებლად განიხილავს — გვითხრა ამირან კაჭახიძემ.

**გიორგი ნოზაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

18 ტური მიმოხილვა

# აგათა კრისტი დინამო — ზესტაფონზე

**სხვისი** არ ვიცი და, ოთარ მარცვალაძის კიევის „დინამოში“ გადასვლა ბოლოდროინდელ ყველა ერთად აღებულ ქართულ ტრანსფერზე მეტად გამიხარდა. აქ იმას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, გაივლის თუ არა მარცვალაძე კახა კალაძის დარ გზას. გასახარი სხვაა: თურმე საქართველოს ჩემპიონატს აზრი არ დაუკარგავს; თურმე აქ რომ თამაშით თავს მოიკლავ, ყოჩაღ უცხოურ კლუბში მოხვედრა შეგიძლია; თურმე მაინც გვაქცევენ ყურადღებას...

მოკლედ, ახლა სხვანაირად ვუყურებთ საქართველოს ჩემპიონატს, განვლილი მე-18 ტური კი მართლაც გამორჩეული იყო, განსაკუთრებით ორი მატჩით.

რა ვქნათ, ახლაც „იონათი“ უნდა დავიწყოთ: „ზესტაფონის“ ვეტერანმა ფორვარდმა ხელობა არ დაივიწყა და საგოლე გეში ისევ „დინამოს“ დაატეხა. ზურაბ იონანიძემ მანამდე, ერთი კვირით ადრე დინამოელებს თასზეც გაუტანა, ახლა კი თბილისში ტყუპი გოლი გამოაცხო.

„იონას“ და ფეროელებს მიხეილ ბობოხიძემ ჩაუმწარა ბენეფისი, ბოლო წუთზე მანაც დუბლი მიითვალა და „დინამოს“ ქულა გადაურჩინა.

ეს ის ფრე იყო, ორივე გუნდი დაღვრემილი რომ დატოვა — ანდრეი ჩერნიშოვის სამწყსო უკვე ექვსი ქულით ჩამორჩა ლიდერს, „ზესტაფონი“ კი, ალბათ, საჩემპიონო ოცნებას ჩამოშორდა — კი, 12 ტურია დარჩენილი და 36 ქულაა გასათამაშებელი, მაგრამ 11-ქულიანი სხვაობის გაქვითვა არარეალურად მოჩანს.

აქვე ვთქვათ „დინამოში“ მობრუნებულ ვიტალი დარასელიასა და ლადო ბურდულზე, რომლებმაც მინდორი დახაზესო, ვერ ვიტყვით, მაგრამ როცა გუნდთან შეთამაშდებიან... ჩერნიშოვისგან კი მორიგი მატჩისშემდგომი მხატვრულობა მოვისმინეთ — ეს იყო კრიმინალური დეტექტივივით ჩახლართული მატჩიო.

ამ ტურმა ლიდერ „ვიტ ჯორჯიასთვის“ გაისროლა — „დინამოს“ გარდა ბოლნისის „სიონმაც“ ორი ქულა დაკარგა. თუმცაღა თამაშის მიხედვით კი არ დაკარგა, ნანატრი ქულა ციდან ჩამოუვარდა. კახა ცხადაძის ბიჭები „ბათუმთან“ შინ 0:2-ს აგებდნენ და ბოლო წუთზე მოახერხეს გათანაბრება. ძაან თამაში იყო „თამაზ სტეფანიაზე“, ლამაზი და ცოტა კურიოზული გოლები ხომ ვნახეთ და, ნერვებიც დაწყვეტაზე იყო — კახა ცხადაძე გააძევეს მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის, ნერვებწყვეტის მიზეზი კი, როგორც გავიგეთ, მატჩის წინ მსაჯების ოთახში ფეხბურთის ფედერაციის ექს-გენმდივან დავით კვინიკაძის უცნაური ვიზიტი ყოფილა: კვინიკაძემ მსაჯებს მოსაკითხად შეუარა, თან რაგბის ანგარიში გაიგოო. მაგრამ ეჭვის საბაბი, იცოცხლეთ...



## ბოლო წუთზე გახსნილი დეტექტივები და გაუხარელი სტუმრები

ვიტელებმა კი დაგეგმილი სამი ქულა მოინაგრეს. ეგაა, თელავის „კახეთს“ ოდენ კინკილა პენალტით მოერივნენ. „კახეთი“ უძახე და, ჯემალ მახარაშვილის გუნდი რაღაცნაირად კერკეტ კაკლად იქცა — ჯერ იყო და, „დინამოს“, ახლა კი „ვიტ ჯორჯიას“ ბოლომდე შეაკლა თავი და მინიმალური სხვაობით წააგო.

გლდანში გრიგოლ დოლიძემ მოიწყო აღლუმი: „ამერის“ ნახევარმცველმა ჰეთ თრიქით „დაასაჩუქრა“ დასუსტებული „ლოკომოტივი“ და სეზონში უკვე 9 გოლს მოუკრა პირი. „ამერი“ ნაღდადაა ის გუნდი, ჩემპიონობისთვის თუ ვერა, სამეულისთვის რომ იბრძოლებს, რკინიგზელებს კი ახლანდელი მეშვიდე ადგილიც სათუო გაუხდებათ. უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლი გაიტანა ამერელმა რატი წინამძღვრიშვილმა, რომელიც შარშან პირველ და რეგიონულ ლიგებში აწიოკებდა მეტოქეებს.

პირველი სამეორეწრეო გოლები მიითვალა „ბორჯომმა“, ათვლა კი არგენტინელი თავდამსხმელის, გონსალო და პორასის გასროლილით დაიწყო. მთლიანობაში კურორტელებს ოდნავადაც არ გასჭირვებიათ „სოხუმის“ დაბრიყვება და ცხრილში მეხუთე ადგილზე აინაცვლეს.

რა ეშველება „თბილისს“? ალბათ, არც არაფერი. გიორგი დევდარიანის გუნდმა ამხანაგური თამაშები ღონივრად ჩაატარა, მეტწილად იგებდა, მაგრამ აი, დაიწყო მეორე წრე და... „ცხინვალთან“ 0:3 წაგება რაღა იმედს უნდა ტოვებდეს — „თბილისი“ სრული სვლით მიემართება პირველი ლიგისკენ.

დანარჩენი ორი მატჩი კი 0:0 დასრულდა. რაც ანგარიშია, თამაშიც ის იყო და მოდით, აღარ გაგაწვალებთ...

და კიდევ, ტურში ვერც ერთმა სტუმარმა ვერ მოიგო, რაც ამ სეზონში მეორედ მოხდა.

**ილია ნანობაშვილი**

სიმბოლური ნაკრები

ზურაბ იონანიძე — ზესტაფონი
მიხეილ ბობოხიძე — დინამო
კოკა მიქუჩაძე — სიონი
გოგი ფიფია — ზესტაფონი
გრიგოლ დოლიძე — ამერი
დავით დიღმელაშვილი — ვიტ ჯორჯია
ლაშა ძებაძე — ბათუმი
თენგიზ ჩიქვილაძე — ამერი
თენგიზ კობიაშვილი — ვიტ ჯორჯია
გიორგი სეთურიძე — ბათუმი
გრიგოლ ჭანტურია — ზესტაფონი

გუნდი: ზესტაფონი
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 14-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 11-დვალი | სიონი/დინამო |
| 10-იონანიძე | ზესტაფონი |
| 9-მიქუჩაძე | სიონი |
| დოლიძე | სიონი/ამერი |
| 8-ძორიძე | ბორჯომი |
| მეგრელაძე | დინამო |
| ბობოხიძე | დინამო |
| სულთანიშვილი | დილა/ცხინვალი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 18 | 14 | 3 | 1 | 38:10 | 45 |
| სიონი | 18 | 13 | 3 | 2 | 36:14 | 42 |
| დინამო | 18 | 12 | 3 | 3 | 31:11 | 39 |
| ამერი | 18 | 11 | 2 | 5 | 24:12 | 35 |
| ბორჯომი | 18 | 11 | 1 | 6 | 32:16 | 34 |
| ზესტაფონი | 18 | 10 | 4 | 4 | 23:14 | 34 |
| ლოკომოტივი | 18 | 10 | 3 | 5 | 29:17 | 33 |
| ბათუმი | 18 | 8 | 5 | 5 | 21:14 | 29 |
| კოლხეთი | 18 | 7 | 3 | 8 | 16:20 | 24 |
| კახეთი | 18 | 6 | 1 | 11 | 18:27 | 19 |
| ცხინვალი | 18 | 5 | 3 | 10 | 17:33 | 18 |
| დილა | 18 | 5 | 2 | 11 | 21:27 | 17 |
| ტორპედო | 18 | 4 | 5 | 9 | 14:24 | 17 |
| სოხუმი | 18 | 3 | 1 | 14 | 17:44 | 10 |
| სპარტაკი | 18 | 2 | 3 | 13 | 4:33 | 9 |
| თბილისი | 18 | 1 | 2 | 15 | 11:36 | 5 |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ამერი“ თბილისი | ამერი 4:1 ლოკომოტივი | 7,0 | 7,0 | 7,0 | 7,0 |
| „ტორპედო“ ქუთაისი | ტორპედო 0:0 დილა | 7,0 | 6,5 | 7,5 | 7,0 |
| „მიხეილ მესხი“ თბილისი | დინამო 2:2 ზესტაფონი | 6,5 | 7,0 | 7,0 | 6,8 |
| „თ. სტეფანია“ ბოლნისი | სიონი 2:2 ბათუმი | 7,0 | 5,0 | 8,0 | 6,6 |
| „ჯ. ზეინკლიშვილი“ ბორჯომი | ბორჯომი 3:0 სოხუმი | 7,0 | 4,5 | 6,5 | 6,0 |
| „არმაზი“ მცხეთა | ვიტ ჯორჯია 1:0 კახეთი | 5,5 | 5,0 | 2,0 | 4,1 |
| „ქართლი“ გორი | ცხინვალი 3:0 თბილისი | 5,0 | 5,0 | 1,5 | 3,8 |
| „შევარდენი“ თბილისი | სპარტაკი 0:0 კოლხეთი | 5,0 | 4,0 | 1,5 | 3,5 |

### მომდევნო ტური

15 მარტი, ოთხშაბათი

სოხუმი – სპარტაკი
ზესტაფონი – ცხინვალი
დინამო – ამერი
თბილისი – ვიტ ჯორჯია
კახეთი – ბორჯომი
კოლხეთი – სიონი
ბათუმი – ტორპედო
დილა – ლოკომოტივი

# მიშას ამბავი

## პარასკევი: კონტრაქტი ბაზელთან. კვირა: გადამწყვეტი გოლი გრასჰოპერთან

აი, ამბავი: 34 წლის თავდამსხმელი მიხეილ ყაველაშვილი თითქმის ერთწლიანი უქმობის შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდა და მერე სად და როგორ — პარასკევს მან შვეიცარიის ჩემპიონ „ბაზელთან“ კონტრაქტი გააფორმა, კვირას კი „გრასჰოპერს“ მატჩის ბოლო წუთზე გადამწყვეტი გოლი გაუტანა და თავის ახალ გუნდს 2:1 მოაგებინა...



„ბაზელი“ — „გრასჰოპერი“ 2:1. მიხეილ ყაველაშვილმა პარასკევს გაფორმებული კონტრაქტი კვირას ამ გოლით აღნიშნა

— ადრეც ხომ ვამბობდი, კარიერის დამთავრებას არ ვაპირებ-მეთქი?! ჰოდა, პარასკევს „ბაზელთან“ გავაფორმე კონტრაქტი და პირველსავე მატჩში გოლიც გავიტანე — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა, ვინც გუშინ მთელი შვეიცარიული პრესა აალაპარაკა.

— „ბაზელში“ როგორ მოხვდი?

— „ბაზელის“ მწვრთნელი კრისტიან გროსი თავის დროზე „გრასჰოპერში“ ჩემი და გიორგი ნემსაძის დამრიგებელი იყო და იმ დროიდან ვიცნობ, ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია. მან კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები. როცა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ვიყავი, გუნდის მოსამზადებელი კონსპექტები მაშინ სწორედ მან მომცა. ახლა კი „ბაზელს“ თავდამსხმელების პრობლემა შექმნა, ერთი არგენტინელი ფორვარდი დაუშავდა და გროსიც ორი კვირის წინ დამიკავშირდა, პირადი ამბები გამომკითხა და გუნდში მიმიწვია. ვივარჯიშე, ფორმაც მეტნაკლებად აღვიდგინე და პარასკევს კონტრაქტიც გავაფორმე. „ბაზელში“ ჯერჯერობით სეზონის ბოლომდე დავრჩები, მერე კი ვნახოთ... რაც მთავარია, უკვე საბოლოოდ გამოვჯანმრთელდი, ტრავმა, რომელმაც ერთი წელი დამტანჯა, მოვიშუშე და ნელ-ნელა სასურველ ფორმასაც ვიბრუნებ.

— ფიზიკური მომზადების მხრივ არ გიჭირს?

— ამდენი ხნის უთამაშებელს, რა თქმა უნდა, პრობლემები მაქვს, მაგრამ უსაშველოც არაფერია. ოთხი თვე ფიზმომზადების მწვრთნელის მეთვალყურეობით ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი.

— კი მაგრამ, ევროპაში სატრანსფერო სეზონი დახურულია და კონტრაქტი ახლა როგორ გააფორმე?

— ეგ კანონი უგუნდოდ მყოფ ფეხბურთელებზე არ ვრცელდება. სანამ „ბაზელთან“ კონტრაქტი გაფორმდებოდა, ეს საკითხი ფიფაში გავარკვიეთ, ორი დღე მოლაპარაკებებმა წაიღო, ფიფამ კონტრაქტის ნება მოგვცა და ხელიც მოვაწერეთ.

— „გრასჰოპერს“ გადამწყვეტი გოლი როგორ გაუტანე?

— მეორე დამატებითი წუთი იყო, ფაქტობრივად, ბოლო შეტევა. კუთხური ჩავაწოდეთ, საჯარიმოში კი თანაგუნდელმა ბურთი თავით დამიგდო და შემოტრიალებით გავიტანე. შვეიცარიელი ჟურნალისტები ორი დღეა, ამ გოლზე და ჩემ ასეთ წარმატებულ დაბრუნებაზე ლაპარაკობენ. „ბაზელ“ — „გრასჰოპერის“ მატჩები ისედაც ყოველთვის დაძაბული და პრინციპულია და, მით უმეტეს, ახლა იყო ძალიან მნიშვნელოვანი თამაში. „ციურიხი“ კუდში მოგვდევს და ყოველი ქულა გადამწყვეტია.

— რაკი თამაში განაახლე, სამწვრთნელო საქმის სწავლას ალბათ შეეშვი...

— ეს დროებით. სწავლას მერე გავაგრძელებ, ახლა კურსები მაინც არ არის. ლექციებს ზამთარ-ზაფხულობით კითხულობენ. ისე კი, კრისტიან გროსი შვეიცარიაში საუკეთესო სპეციალისტად ითვლება და მის გუნდში თამაშით საჭირო ცოდნასაც მივიღებ.

— მოკლედ, შესაძლოა გაისად ჩემპიონთა ლიგაშიც გიხილოთ...

— შესაძლოა. ვნახოთ, სეზონის ბოლოს საქმეები როგორ იქნება...

**კობა ინასარიძე**

ისრაელის უმაღლეს ლიგაში გიორგი დემეტრაძემ გოლების ანგარიში შაბათს გახსნა. ქართველი თავდამსხმელის თელ ავივის „მაკაბი“ ფეთახ თიკვას „ჰაპოელს“ სტუმრობდა და 0:1 აგებდა, როცა დემეტრაძემ ჯარიმიდან ბურთი მასპინძელთა კარის ცხრიანში ჩასვა და ბოლო წუთზე ანგარიში გაათანაბრა.

„ჯადოსნური ფეხი“ — ასეთი ეპითეტიც კი მიუძღვნა ჩვენიანს ერთ-ერთმა ებრაულმა გაზეთმა და დემეტრაძე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

ამ გოლამდე გიორგი დემეტრაძეს ერთიც ისრაელის თასზე ჰქონდა გატანილი, თუმცა ლიგაში პირველი გოლი მაინც გამორჩეულია...

# დემეტრაძეს ისრაელში ნაკრები დაავიწყეს

... ძალიან ლამაზი გოლი გამოვიდა. კარამდე დაახლოებით 30 მეტრი იყო, ბურთი კედელს გადავავლე და მეკარისგან შორეულ ცხრიანში შევაგდე. თანაც, ვაგებდით და ჯარიმაც სულ ბოლო წუთზე დაინიშნა — გვითხრა გუშინ გიორგი დემეტრაძემ, რომელმაც სათამაშო ფორმა უკვე აღიდგინა, მაგრამ 22 მარტს ალბანეთთან მატჩში ნაკრებში მაინც ვერ ითამაშებს.

... ნაკრებიდან გამოძახება მივიღე, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებმა ალბანეთთან ამხანაგური მატჩის თარიღს როგორც კი დახედეს, მაშინვე ხელები გაასავსავეს, გამორიცხულია, სანაკრებო შეკრებაზე გაგიშვათ, 22 მარტი ფიფას დღე არ არის და გუნდს სჭირდებიო. უფროსობას ჩემი სათქმელი კი ვუთხარი, მაგრამ ვეჭვობ, პოზიცია შეცვალონ და ნაკრებისთვის გამათავისუფლონ. მოკლედ, ტოპმიოლერის გუნდში ჩემი დებიუტი ისევ გადაიდო.

... მალტის ტურნირზე ჩემ ჩაუსვლელობას კი მარტივი მიზეზი ჰქონდა, ფორმაში არ ვიყავი და თანაც, საზარდულები მაწუხებდა. რა აზრი ჰქონდა მალტაზე წასვლას, ვერ ვითამაშებდი და იქ რა დამრჩენოდა, ტურისტი ვიქნებოდი, ფედერაციას კი ზედმეტი ხარჯი დააწვებოდა. ნაკრებში ჩაუსვლელობის თაობაზე ხელმძღვანელებს წერილიც გავუგზავნე და ლევან ცქიტიშვილიც ადრევე გავაფრთხილე.

... ისრაელის ჩემპიონატში ახლა მეხუთე ადგილზე ვართ და უეფას თასის საგზურისთვის ვიბრძოლებთ. ადრე მიზნად თასის მოპოვება და უეფას თასზე გასვლაც ამ გზით იყო დაგეგმილი, მაგრამ მეოთხედფინალიდან გავვარდით — ყველასთვის მოულოდნელად, მეორე ლიგის აკოს „ჰაპოელთან“ შინ 0:4 წავაგეთ. სხვათა შორის, მეოთხედფინალიდან გავარდა იერუსალიმის „ბეითარიც“ და ისიც მეორელიგელმა შეიწირა. „ბეითარს“ კი ლუის ფერნანდესი თავკაცობს.

... ისრაელის ჩემპიონატში შეუცვლელად უკვე მეორე მატჩი ვითამაშე. ბოლო ხანს გუნდს ცოტა გოლი გააქვს და ახლა მთელი „მაკაბი“ ჩემ იმედზეა — სასურველ ფორმაში ვარ და მომავალში კიდევ გავიტან. ჯერჯერობით კი გუნდს ორი წამყვანი ნახევარმცველი ბერკოვიჩი და ნიმნი აკლია და თავდამსხმელებისთვის პასის მიმცემი არავინაა. ბერკოვიჩს შეიდმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს, ნიმნი კი საოპერაციოა.

... ჩემპიონატის დამთავრებამდე ათი ტურია დარჩენილი. ჩვენ კი შვიდი მატჩი შინ გვიწევს და იმედი გვაქვს, რომ მესამე ადგილს მაინც შევწვდებით და უეფას თასზე გავალთ.

**კობა ინასარიძე**



# ცქიტიშვილი ბოხუმშია

## ეროვნულს შუბერტი უწამლებს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია ცნობილი გერმანელი დასტაქრის, დოქტორ შუბერტის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობის საკითხი. ის კონსულტანტის რანგში დაეხმარება ჩვენი ნაკრებების სამედიცინო შტაბს და ნაკრებთა წევრებიც უპირატესად მისი სამსახურით ისარგებლებენ.

შეგახსენებთ, რომ კლაუს ტოპმიოლერის რეკომენდაციით ჰოლანდიური „ტვენტეს“ ქართველმა ლეგიონერმა გოგა გახოკიძემ თებერვალში გამოკვლევა ბოხუმში, სწორედ დოქტორ შუბერტის კლინიკაში გაიარა და მისივე თქმით, ის ტრავმა მოიშუშა, მთელი ერთი წელი სრული დატვირთვით თამაშის საშუალებას რომ არ აძლევდა.

ამჟამად კი ბოხუმში იმყოფება საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი ლევან ცქიტიშვილი. მან ტრავმა მალტის ტურნირზე, მასპინძლებთან შეხვედრაში მიიღო და ახლა ჰერ შუბერტის კლინიკაში გადის სარეაბილიტაციო კურსს.

**გიორგი ნოზაძე**

# მუმუს პენალტმა ფრთები ვერ გაშალა

სამარის „კრილიაში“ ახლახან გადასულმა დავით მუჯირმა გუშინ მოსკოვის „დინამოსთან“ სათასო მატჩში ითამაშა. ჩვენებურის გუნდს პირველი მერვედფინალური მატჩი 2:0 ჰქონდა მოგებული, გუშინ კი ასეთივე ანგარიშით წააგო. დამატებით დროში გოლი აღარ გასულა და საქმე პენალტებზე მიდგა. აქ კი „კრილიადან“ მხოლოდ მუჯირმა გაიტანა, სამარელებმა 1:3 წააგეს ლატარიაში და თასიდან გავარდნენ.

„მუმუ“ 38-ე წუთზე ჩაერთო თამაშში, მაინცდამაინც ბევრი მომენტი არ ჰქონია და 68-ე წუთზე ყვითელი ბარათიც მიიღო.

**ილია ნანოზაშვილი**

## ქართველები უცხოეთში

# ასათიანი საავადმყოფოდან გაწერეს



### ჭელიძის სიტყვა: გინდა გოლი? შემიშვი!

მოსკოვის „ლოკომოტივის" ესპანურ შეკრებაზე დაშავებული მალხაზ ასათიანი საავადმყოფოდან უკვე გამოწერეს. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რკინიგზელთა ვარჯიშისას უხერხულად დაეცა და ლავიწის ძვალი გაიტეხა, რის გამოც სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და მალხაზიც თავს უკვე კარგად გრძნობს. ამას ისიც მოწმობს, რომ ლოკომოტიველებს ჩვენებურის მოსკოვში წაყვანა სურდათ, თუმც გადაიფიქრეს — ასათიანი მოსკოვში გუნდთან ერთად 15 მარტს დაბრუნდება.

როგორც ადრე შეგატყობინეთ, ქართველი ფეხბურთელი დაახლოებით ორი თვე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ამასობაში „ლოკომოტივმა" კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა და, რა თქმა უნდა, ისევ გაიტანა გიორგი ჭელიძემ. სლავოლიუბ მუსლინის შეგირდებმა შვეიცარიული „ბადენსვილი" 10:0 დაიბრიყვეს, ჩვენებურმა კი შეცვლაზე ითამაშა და ბოლოს გამოიჩინა თავი.

საინტერესოა, რომ წინა ორ შეხვედრაშიც, ესპანურ „მარბელასთან" და „მალაგასთან", ჭელიძემ შეცვლაზე შესულმა გაიტანა.

**ბაჩა შალამბერიძე**



# როცა ფეხები ასე ნავარდობს...

## თემურ ქეცბაიამ ასაკს ჰეთ თრიქი გაუტანა

**უცნაური** ტრანსფერი და უცნაური დებიუტი: აქამდე ტრავმირებული, მერე გამოჯანმრთელებული და უქმად მყოფი *მიხეილ ყაველაშვილი* „ბაზელში" გადავიდა, პირველივე მატჩში „გრასჰოპერთან" შეცვლაზე ითამაშა და 90-ე წუთზე გადამწყვეტი გოლი გაიტანა. „ბაზელმა" 2:1 მოიგო და შვიდი ქულით უსწრებს მდევრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყაველაშვილს მშვენიერი შანსი აქვს, ორიოდ თვეში შვეიცარიის ჩემპიონობაც კი მოიპოვოს.

უქმეების გმირი კი *თემურ ქეცბაიაა* — „ანართოსისის" მოთამაშე-მწვრთნელმა კვიპროსის ჩემპიონატის მე-20 ტურში აელ-ი დაიბრიყვა და თერთმეტ წუთში სამი გოლი გაუტანა; ერთიც *კლიმენტი წიტაიშვილმა* დაამატა, ჯამში კი „ანართოსისმა" 5:0 მოიგო და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილს ინარჩუნებს.

იტალიაში სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩი გაიმართა — „მილანი" ტურინის „იუვენტუსს" ესტუმრა და უგოლოდ დაშორდა. *კახა კალაძემ* ისევ დაცვის ცენტრში ითამაშა და მოედანზე 90 წუთი დაყო.

*ლევან კობიაშვილის* „შალკემ" საჩემპიონთალიგო მესამე ადგილზე აინაცვლა. გელზენკირხენელებმა შინ 2:0 მოუგეს „აინტრახტს" და „ჰერტასთან" შერცხვენილ „ვერდერს" ერთი ქულით გაასწრეს. კობი, რა თქმა უნდა, ძირითადში იყო და ერთი-ორჯერ გოლის გატანაც შეეძლო, თუმცა სტუმართა მეკარეს ვერ აჯობა.

მნიშვნელოვანი სამი ქულა აიღო „ფრაიბურგმაც". *ალექსანდრე იაშვილმა* და მისმა თანაგუნდელებმა „ბრაუნშვაიგს" 1:0 სძლიეს და მესამე საფეხურზე წამოჯდნენ, საიდანაც ბუნდესლიგა ძალიან ახლოს ჩანს.

უკრაინის ჩემპიონატში შვიდმა ქართველმა ითამაშა და მათ შორის ისევ არ გამოჩენილა კიევის „დინამოს" ახალწვეული *ოთარ მარცვალაძე*. მას მწვრთნელები სარეზერვო გუნდში ათამაშებენ და ზედიზედ მეორე მატჩია, ოთარს დუბლების ჩემპიონატში გააქვს გოლები. იმედია, მომდევნო ტურიდან მარცვალაძე ძირითადშიც ითამაშებს, რადგან „დინამომ" შინ „ვორსკლას" ვერ სძლია (0:0) და მწვრთნელებიც განსაკუთრებით თავდამსხმელთა გარჯით დარჩენილან უკმაყოფილონი.

საქართველოს ნაკრების ოთხ მოთამაშეს კი სხვადასხვა მიზეზთა გამო არ უთამაშია — *ლევან ცქიტიშვილს* ფეხიც აწუხებს და მაინცდამაინც არც „ვოლფსბურგის" მწვრთნელი კლაუს აუგენტალერი სწყალობს, ბლექბერნელ *ზურაბ ხიზანიშვილს* კონტრაქტთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, ალკმაარელი *შოთა არველაძე* და ტვენტელი *გოგა გახოკიძე* კი ტრავმირებულები არიან.

**ბაჩა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | იუვენტუსი 0:0 | 90 | | 19 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | აინტრახტი 2:0 | 90 | | 24 | 2 | 3 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | შ | ბაიერნი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 13 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ბრაუნშვაიგი 1:0 | 90 | | 20 | 4 | 3 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ბრაუნშვაიგი 1:0 | 0 | | 2 | 0 | 3 |
| დავით სირაძე | აუე | ს | ალენი 1:3 | 0 | | 5 | 0 | 13 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | ს | ლევერკუზენი (მ) 1:2 | 0 | | 18 | 1 | 3 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | შ | *ტრირი— გადაიდო* | | | 16 | 12 | 11 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ასტონ ვილა 2:0 | 0 | | 17 | 0 | 6 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ბაზელი | შ | გრასჰოპერი 2:1 | 24 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 1 | 1 | 1 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | ტილბურგი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 24 | 20 | 3 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ბრედა 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 9 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | ვორსკლა 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | შ | ვორსკლა 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | შ | ვორსკლა 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ტავრია 0:1 | 0 | | 4 | 2 | 12 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | ს | ტავრია 0:1 | 90 | | 2 | 0 | 12 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | შახტარი 0:2 | 90 | | 18 | 6 | 6 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | მ. დონეცკი 1:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 12 | 0 | 3 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | შ | მ. დონეცკი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | არსენალი 1:2 | 90 | | 19 | 5 | 15 |
| ალეკო ამისულაშვილი | ტავრია | შ | მ. ზაპოროჟიე 1:0 | 90 | | 2 | 0 | 13 |
| ჯაბა კანკავა | არსენალი | ს | კრივბასი 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 14 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | ს | ხარკოვი 1:0 | 90 | | 19 | 1 | 10 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აელ 5:0 | 64 | 3 გოლი, შეცვალეს | 16 | 7 | 4 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | შ | აელ 5:0 | 90 | 1 გოლი | 17 | 4 | 4 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | აელ 5:0 | 0 | | 5 | 0 | 4 |
| ამირან მუჯირი | ანართოსისი | შ | აელ 5:0 | 26 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 1 | 4 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



თემურ ქეცბაიას გააქვს და გააქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახა ქვიშაში

## გახდა თუ არა იუვენტუსი იტალიის ჩემპიონი?





**„ეს იყო** თამაში, რომლის მონაწილე გუნდებს სხვადასხვა მიზანი ამოძრავებდათ. „მილანს“ მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა, ჩვენ არა. აქედან გამომდინარე, ამ ურთულეს შეხვედრაში მთავარი ერთადერთი რამ, სასურველი შედეგის მიღწევა გახლდათ. მატჩის მსვლელობისას იყო პერიოდები, როდესაც უპირატესობას ხელთ „მილანი“ იგდებდა, მაგრამ ასევე იყო მომენტები, როდესაც თამაშის სადავეებს ჩვენ ვიბრუნებდით“ — აი, ასე შეაფასა სერია A-ს 2005-06 სეზონის უმთავრეს თამაშად შერაცხული „იუვენტუს“ — „მილანი“ ტურინელთა თავკაცმა ფაბიო კაპელომ.

ამგვარად, სეზონის მთავარი მატჩი 0:0 დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ ცხრილში ათქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა, ჩემპიონატის დამთავრებამდე კი ცხრა ტურია დარჩენილი. თეორიულად, ცხრა ტური ოცდაშვიდი ქულაა, ასე რომ, „იუვენტუსს“ წინასწარ მისალოცი ჯერ არაფერი აქვს, მაგრამ ფაქტია, იტალიური პრესა-ტელევიზია ტურინელებს უკვე ჩემპიონებად აცხადებს, რაც, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ ეს გუნდი თავისზე სუსტ გუნდებთან ქულების ფლანგვაში არ არის შემჩნეული. და მაინც, საინტერესოა, ვისთან დარჩათ სათამაშო „იუვენტუსსა“ და „მილანს“?

### იუვენტუსი

*შინ:* „რომა“, „ფიორენტინა“, „ლაციო“, „პალერმო“.

*სტუმრად:* „ლივორნო“, „ტრევიზო“, „კალიარი“, „სიენა“, „რეჯინა“.

### მილანი

*შინ:* „ფიორენტინა“, „კიევო“, „ინტერი“, „ლივორნო“, „რომა“.

*სტუმრად:* „უდინეზე“, „ლეჩე“, „მესინა“, „პარმა“.

დავუბრუნდეთ პრესკონფერენციას და ფაბიო კაპელოს: „ფეხბურთი იმაზეა დამოკიდებული, როგორი მოთამაშეები ჰყავს მწვრთნელს. თუ, მაგალითად, სწრაფი ფეხბურთელები გყავს, მაშინ კომბინაციების მაღალი ტემპით განვითარებას ცდილობ, ხოლო თუ შენ განკარგულებაში უფრო სოლიდური ადამიანები არიან, მაშინ ბურთის დაჭერას და გაგორებას ისახავ მიზნად. თამაშის სანახაობრიობა მის შემსრულებლებზეა დამოკიდებული, თუმცა ხშირად ხალხი მშრალი შედეგის გამოც გიკრავს ტაშს“.

ორი სიტყვით საკუთრივ „დელე ალპის“ მინდვრის შესახებ, რომელიც ქვიშიან ნიადაგზე მდებარეობს.

კაპელო: „რა ხანია, ვჩივი, რომ ეს მინდორი პრობლემებს გვიქმნის. პრობლემები შეექმნა ისეთ ტექნიკურ გუნდსაც, როგორიც „მილანია“, ამიტომ დროა, რაიმე ვიღონოთ. იმედი მაქვს, გაზაფხულზე ბალახი ცოტა მაინც გაიზრდება“

ზლატან იბრაჰიმოვიჩზე, რომელიც „მილანთან“ შეხვედრაში კაპელომ პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა, მწვრთნელმა ასე ბრძანა:

„როგორც ჩანს, ზლატანის ბალკანურ ბუნებაში ისეთი თვისება დევს, რომლის გამოც სრულიად უბრალო სიტუაციაში ეს ბიჭი რაღაც განსხვავებულის გაკეთებას ცდილობს და ცდება“.

და ბოლოს, მილანელ ჯენარო გატუზოზე, რომელიც ზედმეტი სიფიცხითაა ცნობილი და ამ შეხვედრაშიც მიიღო წითელი ბარათი:

“მოედანზე რომ შედიოდა, გატუზომ შემაგინა, მაგრამ არ მწყენია, რადგან მივხვდი, რომ ის მთელი არსებით თამაშში იყო ჩართული.“

ახლა კი „მილანის“ თავკაცის, კარლო ანჩელოტის ნალაპარაკევსაც გავეცნოთ:

„დღეს ერთადერთი, რაც ჩემს გუნდს აკლდა, გოლი იყო. სხვა მხრივ კმაყოფილი დავრჩი, რადგან კარგად ვითამაშეთ და დიდი პერიოდების განმავლობაში ინიციატივას ვფლობდით. განსაკუთრებით გაგვიძნელდა გატუზოს გაძევების შემდეგ. ვფიქრობ, გატუზო არ უნდა გაეძევებინათ, რადგან მან ნედვედი იმიტომ წააქცია, რომ ფეხი დაუცდა. გატუზოზე მეტჯერ იუვენტუსელი პატრიკ ვიეირა დაჯარიმდა და მსაჯს სულ თავისუფლად შეეძლო, მისთვისაც ეჩვენებინა მეორე ყვითელი ბარათი. ერთ ეპიზოდში კი ემერსონმა ბურთს ხელი შეახო და პენალტის დანიშვნა შეიძლებოდა. მერე, ამ ქვიშიან მინდორზე ბურთის კონტროლი ჭირს.

საბოლოოდ, იმის თქმა შემიძლია, რომ კმაყოფილების საბაბი გვაქვს. დიახ, სეზონის განმავლობაში გვქონდა პრობლემები, მით უფრო, დაცვაში, მაგრამ კახა კალაძე და სერჟინიო ახალ როლებს კარგად მოერგნენ და პრობლემებიც გაქრა“.

პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეც გამოვიდა:

„ადრე ცენტრალური მცველის პოზიციაზე მათამაშებდნენ და ამიტომ „მილანში“ ნახევარმცველობის და განაპირა მცველობის შემდეგ შუაში დაბრუნება სიამოვნებას მანიჭებს. რომ მოგვეგო, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ მინდორი საძაგელ მდგომარეობაში იყო, გარშემო ქვიშა იყრებოდა. მერედა, ათი კაცით რომ დარჩები, „იუვენტუსთან“ თამაში ძნელზე ძნელი ხდება. ასე იყო თუ ისე, გოლი მაინც ხომ არ გავუშვით“.

**პაპუნა ბედია**



AFP ფოტოები



AFP ფოტოები



AFP ფოტოები

# შევჩენკომ მილანს გაუტანა, ბაიერნი მეოთხედფინალშია

## ერთი კვირის წინ ეს შესაძლოა, ასეც ყოფილიყო





წინა კვირას „მილანმა“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მიუნხენის „ბაიერნი“ რომ გააგდო, გერმანელი ჟურნალისტებისთვის სხვებზე მიმზიდველ რესპონდენტად თითქოსდა ფილიპო ინძაგი უნდა ქცეულიყო, რამეთუ „პიპომ“ იმ მატჩში დუბლი შეასრულა და ესეც რომ არა, საქვეყნოდ აქვს დაგდებული ბავარიელთა მესაფლავის სახელი.

მაგრამ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ინძაგისთან საუბარს ანდრეი შევჩენკოსთან ბაასი არჩიეს და, აი, რატომ: მის შესახებ თითქოს ყველაფერია ცნობილი, მაგრამ ის კი, ალბათ, ბევრს არ ეცოდინება, რომ ანდრეი შევჩენკო შესაძლოა, გერმანელი ყოფილიყო... საინტერესოა, არა?

**— მართალია, რომ თქვენ შესაძლოა გერმანიაშიც დაბადებულიყავით?**

— დიახ, შეიძლებოდა, ასეც მომხდარიყო, მამაჩემი ნიკოლაი პოტსდამში დიდი ხანი მსახურობდა, კაპიტანი იყო. ოჯახმა ჩემ დაბადებამდე რამდენიმე დღით ადრე გადაწყვიტა უკრაინაში დაბრუნება.

**— მიზეზი? ალბათ, მამათქვენს არ სურდა, რომ გერმანელი ყოფილიყავით...**

— ზუსტად არ ვიცი. ალბათ, სამშობლო მოენატრა, ალბათ, გერმანიაში ცხოვრება მობეზრდა. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე წლის შემდეგ გერმანიაში ხელახლა რომ შესთავაზეს სამსახური, წასვლაზე უარი თქვა.

**— გერმანიაზე რამეს თუ გიყვებოდათ...**

— საჭირო არც იყო, რადგან კიევის „დინამოს“ ბავშვთა გუნდში თამაშისას გერმანიაში ტურნირებზე რომ დავდიოდით, გერმანელი ხალხის ცხოვრებას თავად ვეცნობოდი.

**— კერძოდ, რომელ ქალაქებში ჩამოდიოდით ტურნირებზე?**

— სამწუხაროდ, ყველას ველარ ვიხსენებ. დღემდე კარგად მახსოვს, 1989 წელს კიოლნის მახლობლად რომ ვიყავით. მაშინ 13 წლის ვიყავი და ოჯახებში გვიწევდა ცხოვრება. მეც ერთ-ერთ ოჯახში მოვხვდი და გამაოცა იქაურმა ატმოსფერომ და სტუმართმოყვარეობამ.

**— გამოდის, დასავლურმა ცხოვრებამ მაშინ საკმაოდ მოგხიბლათ...**

— მომხიბლა და მერე როგორ! მაშინ ჩემთვის ყველაფერი განსაკუთრებული იყო — მანქანა, ტანსაცმელი, საკვები, ტელევიზორიც კი. გერმანელებს ეტყობოდათ, რომ თავისუფალნი იყვნენ როგორც ცხოვრებაში, ისე ურთიერთობაში. ჩვენ კი კომუნიზმში ვცხოვრობდით, მაგრამ მათ ვერანაირად შევედრებოდით.

**— რას ფიქრობდით მაშინ გერმანელებზე?**

— სწორედ იმ ოჯახით შევიქმენი წარმოდგენა ამ ერზე — გასაოცარი პუნქტუალურობა და საქმისადმი დამოკიდებულება. გერმანელმა თუ ხელი რამეს მოკიდა, საფუძვლიანად და სრული სერიოზულობით გააკეთებს.

**— ცნობილია, რომ ძალიან გიყვართ მანქანები. გერმანული თუ ყოფილა თქვენს კოლექციაში?**

— რა თქმა უნდა. მყავდა ორი „პორშე“ — „ტურბო“ და „კარერა“, „მერსედესზე“ და „ბმვ X5“-ზე რომ არაფერი ვთქვათ. მაგრამ ეს უკვე წარსულია, მანქანის სწრაფად ტარება ახლა ნაკლებად მიზიდავს, ცოლმა და შვილმა ჩემი ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალეს. ახლა სხვა კაცი ვარ, მყავს ჯიპი „რენჯ როვერი“, მე და ჩემი ოჯახი ამ მანქანითაც მშვენივრად დავდივართ, მშვიდად და კომფორტულად.

**— მეორე მსოფლიო ომის გამო უკრაინელებს როგორი დამოკიდებულება გაქვთ გერმანელებთან?**

— ახლა ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ გერმანელები გვეზიზღებიან, მაგრამ მაშინ მართლა სხვა ვითარება იყო, ომმა ხომ დანდობა არ იცის. მაშინ ბაბუაჩემი ტყვედაც ჩავარდა, თუმც ახლაც ცოცხალია და, სხვათა შორის, პენსიას სწორედ გერმანიიდან იღებს. საინტერესოა, არა?

**— ძალიან, მაგრამ დროა, ფეხბურთზეც ვისაუბროთ: უკრაინის ნაკრები პირველად ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე და ისიც გერმანიაში. რას ნიშნავს ეს თქვენი ქვეყნისთვის?**

— სიტყვებით ძნელია იმის გადმოცემა, თუ რას ვგრძნობთ და რას განვიცდით. უკრაინა ზაფხულს მოუთმენლად ელის. ხალხს სჯერა, რომ შეუძლებელი არაფერია და საქმისადმი სწორი მიდგომით მიზნის მიღწევა შესაძლებელია.

**— წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსიც გქონდათ, მაგრამ პლეი ოფში გერმანიასთან მეორე მატჩში 1:4 წააგეთ...**

— ვიცოდი, მაგას რომ მკითხავდით. მაშინ ჩვენ გერმანელებზე აშკარად სუსტნი ვიყავით როგორც ცალკეული ფეხბურთელები, ისე გუნდი. მაშინ ნაკრებში, იცით, როგორი ვითარება იყო? რომ გავიგეთ, გერმანიასთან გვიწევდა პლეი ოფი, ზოგიერთები დაკომპლექსდნენ, შიშის ფაქტორმა ძალიან დიდი როლი ითამაშა, გერმანიას როგორ უნდა მოვუგოთო. საბედნიეროდ, ჩვენს გუნდში ახლა სხვა ვითარებაა, ჩვენ არავისი გვეშინია და ამიტომაც ვთამაშობთ მუნდიალზე.

**— თამაში ერთია, მაგრამ... რას გეგმავთ?**

— ჯერ ერთი, ჩვენთვის მონაწილეობაც კი წარმატებაა, მაგრამ შედეგზეც ვიფიქრებთ. რატომაც არა?! მიმაჩნია, რომ უკრაინას ძალუძს, სულ ცოტა, მერვედფინალში გავიდეს, მერე კი ვნახოთ...

**— ადრე თქვით, ანდრეი შევჩენკო დიდი ფეხბურთელი ვერასდროს იქნება, თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთხელ მაინც ვერ ითამაშებსო. ახლა, გამოდის, გერმანიის მინდვრებზე დიდ შევჩენკოს ვიხილავთ?**

— ალბათ. მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ჩემი ბავშვობისდროინდელი ოცნება იყო და ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მოუთმენლად ველი მის დაწყებას. საკლუბო დონეზე თითქმის ყველაფერი მოვიგე — უკრაინისა და იტალიის ჩემპიონობა, თასები, სუპერთასები, ევროპის ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი, გავხდი „ფრანს ფუტბოლის“ ლაურეატი, მაგრამ ეროვნულ გუნდთან წარმატების მიღწევა მაინც სხვაა.

**— ბევრი ამბობს, უკრაინის ნაკრები მხოლოდ შევჩენკოაო. ასეთი ლაპარაკი თქვენს თანაგუნდელებს ხომ არ თრგუნავს?**

— ეს მეც ხშირად გამიგია და, სიმართლე გითხრათ, ძალიან მწყინს — მე მათთვის მხოლოდ და მხოლოდ კარგი მეგობარი მინდა ვიყო და არანაირად დამთრგუნველი ფაქტორი. ყველასთან უბრალო და მეგობრული ვარ ურთიერთობაში.

**— და ერთიც, 1999 წელს, როდესაც კიევის „დინამოდან“ „მილანში“ გადადიოდით, „ბაიერნი“ არ დაგკავშირებიათ?**

— არა, არ ვიცი. შეიძლება, „დინამოში“ ამის შესახებ რამე იცოდნენ, მაგრამ ჩემთვის „ბაიერნის“ ინტერესებზე არავის არაფერი უთქვამს.

**— ეგ როგორ?**

— როგორ და, ასეთ საკითხებს კლუბის უფროსობა აგვარებს და არა ფეხბურთელი. ერთ მშვენიერ დღესაც გამომიცხადეს, ყველაზე სასურველი და რეალური წინადადება „მილანისგან“ მივიღეთო და შენ რას იტყვიო. მესიამოვნა, „მილანს“ ბავშვობიდანვე ვქომაგობდი და ჩემს საყვარელ გუნდში გადასვლაზე უარი რატომ უნდა მეთქვა? ჰოდა, გადავედი...

# არსენალმა იტალიას თოფი მიუშვირა



**იტალიური** „ლაციოს“ ნახევარმცველი ოსმან დაბო გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, რომელიც „სტადიო ოლიმპიკოს“ დატოვებას აპირებს. ეს კი დედაქალაქელთა ცუდი ფინანსური მდგომარეობითაა გამოწვეული. ლაციოელით ყველაზე მეტად ლონდონის „არსენალია“ დაინტერესებული.

„გაზეთებში წავიკითხე, თითქოს „არსენალთან“ წინასწარი კონტრაქტი გავაფორმე, მაგრამ ეს ჭორია. მოლაპარაკება ჯერ არც დაწყებულა. თანაც „მეთოფეების“ გარდა „ნიუკასლიც“ მაკვირდება. სამწუხაროდ, „ლაციოს“ ფინანსური მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას სათანადო წინადადება შემომთავაზოს. საუბარი იყო ექვსწლიან კონტრაქტზე, მაგრამ მე მხოლოდ სამწლიანი მინდა და უფრო მაღალი ხელფასით. ჩემი აგენტი გუნდის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს კვლავ შეხვდება და დანარჩენზე დაწვრილებით მერე ვისაუბრებთ“ — თქვა დაბომ.

მოგეხსენებათ, დაბოს გარდა „ლაციოდან“ წასვლის მთავარი კანდიდატები მასიმო ოდო და ფაბიო ლივერანი არიან, რომელთა შენარჩუნებას კლუბი ყველანაირად ცდილობს.

ლონდონის „არსენალს“ კი სერია A-ს კიდევ ერთი ფეხბურთელი დაუკავშირეს. თანაც, არც მეტი არც ნაკლები, ალესანდრო დელ პიერო. ამ ტრანსფერის შესაძლებლობაზე ადრეც საუბრობდნენ და ახლა ისევ ალაპარაკდნენ. როგორც იცით, „მეთოფეები“ „იუვენტუსს“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ხვდებიან. ტურინელთა კაპიტანი კი, მიუხედავად ბოლო დროინდელი კარგი თამაშისა, ფაბიო კაპელოს გადაწყვეტილებით სათადარიგოთა სკამზე ხშირად ზის, რითაც უკმაყოფილოა.

„მინდა, რომ ხალხმა ცოტა უფრო მეტად დამაფასოს, ვიდრე, როგორც მოთამაშე, რომელსაც შეუძლია, შეცვლაზე შევიდეს და მატჩის ბედი გადაწყვიტოს“ — აღნიშნა წინა კვირას დელ პიერომ.

**ძოძი ძანდელაძი**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტერი (იტალია) – აიაქსი (ჰოლანდია) (2:2)

| ინტერი | აიაქსი |
|---|---|
| ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, სამუელი, ვომე, ფიგუ, კამბიასო, ვერონი, სტანკოვიჩი, ადრიანო, რეკობა | შტეკელენბურგი, ტრაბელსი, მადურო, ვერმაელენი, ხუანფრანი, პიენაარი, ლინდენბერგი, ემანუელსონი, როსალესი, ჰუნტელაარი, როზენბერგი |

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

დისკვალიფიცირებულნი: *ინტერი:* ივან კორდობა (1 მატჩი); *აიაქსი:* არავინ

# გარგო წამალმა?

## ადრიანოს ორკვირიანმა მკურნალობამ უშველა





**სამი კვირის** წინ, ამსტერდამულ მატჩამდე ადრიანო ამბობდა, „აიაქსთან" გავიტანო. არ გამოუვიდა. ბრაზილიელ ფორვარდს სერია A-ში თუ ევროთასზე 15 იანვრის შემდეგ გოლი არ გაეტანა და გასულ უქმეებზე მოხდა ის, რამაც „ინტერი" მწვრთნელ-ფეხბურთელებიანად გაახარა — ადრიანომ „სამპდორიასთან" მატჩში გოლი შეაგდო.

„სამპდორიამდე" ბრაზილიელმა სერია A-ს ორი შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ამ ხნის განმავლობაში ვარჯიშობდა. რობერტო მანჩინი: „ადრიანოს ორკვირიანი ვარჯიში ძალიან წაადგა. ფიზიკურად მოძლიერდა, სისწრაფეშიც მოუმატა და ვფიქრობ, ძველებურად ათამაშდება".

შეგახსენებთ, რომ ამსტერდამული მატჩი 2:2 დასრულდა. არადა, „აიაქსი" 2:0-ს იგებდა. მილანელებს „სან სიროზე" 0:0 ან 1:1 ფრეც ეყოფათ მეოთხედფინალში გასასვლელად, მაგრამ რობერტო მანჩინი ფრეზე თამაშს არ აპირებს: „ამბობენ, რომ ჩვენ ცალი ფეხით მეოთხედფინალში ვართ. მე ასე არ ვფიქრობ. მცირე უპირატესობა გვაქვს, თუმც მოსაგებად ვითამაშებთ. დარწმუნებული ვარ, თავიდან ბოლომდე რთული მატჩი გველის".

„ინტერს" დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული ხუან სებასტიან ვერონი და „აიაქსთან" ძირითად შემადგენლობაში იქნება. „სამპდორიასთან" შეხვედრაში არგენტინელი არ ბრწყინავდა, მაგრამ ეს ერთთვიანი უთამაშებლობის ბრალია და ნელ-ნელა ფორმაში ჩადგება.

ამსტერდამის „აიაქსი" კი აქამდე შვიდჯერ სწვევია იტალიას და იქაურ კლუბებთან ერთხელაც არ მოუგია. ჩემპიონატში გასულ უქმეებზე დენი ბლინდის გუნდი პსვ-ს უგოლოდ დაუზავდა. აიაქსელებს უესლი სნეიდერი, ტომაშ გალაშეკი, ზდენეკ გრიგერა და ჯონი ჰეიტინგა ტრავმირებული ჰყავთ. ჰეიტინგას ადგილს დაცვაში მადურო დაიკავებს. სტივენ პიენაარი გამოკეთდა, მან პსვ-სთან ითამაშა და ალბათ „ინტერთანაც" სასტარტოში იქნება.

„იტალიურ გუნდებთან თამაში ყოველთვის ძნელია — განაცხადა დენი ბლინდმა — მჯერა, რომ „სან სიროზე" საგოლე მომენტები გვექნება, მაგრამ დაცვაში მეტი ყურადღება გვამრთებს, რათა ამსტერდამული შეცდომები არ გავიმეოროთ".

**ვაჟა ხუციშვილი**



ადრიან მაშიჩი

# ხალხური მოტივები თამაშის ჩაწყობაში

## თქვენ გგონიათ, პლეიმეიკერები მოედანზე დარბიან?

**ნოემბრის** შემდეგ გერმანიაში საფეხბურთო კორუფციის თემა ამოწურული ეგონათ და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებაზე გახლდნენ ერთიანად გადართულები, მაგრამ, თურმე, რომ ჩქარობ, რას ჩქარობ — გასულ პარასკევს ქალაქ ფრანკფურტში ერთხელაც გაირკვა, რომ მექრთამეობა მხოლოდ ქათული ხალხური თვისება არ ყოფილა.

მოკლედ, გაჩნდა ეჭვი, რომ მეორე ბუნდესლიგის 26 თებერვლის შეხვედრა „ჰანზასა" და „ზიგენს" შორის გარიგებული იყო. ეს ეჭვი საბუქმეიკერო კანტორებში მავანთა საეჭვო ფსონებმა გააჩინა ანუ საქართველოში პოპულარული „ტოტალიზატორმა თამაში ჩააწყო" კი არა, პირიქით, „ტოტალიზატორმა რაღაც იყნოსა" მოხდა და პოლიციაშიც გადარეკა. ხოლო საეჭვო ის გახლდათ, რომ ვილაც-ვილაცებმა არცთუ პატარა თანხები გოლების რაოდენობისა და მეგოლეთა გამოცნობაზე დადეს.

გამომძიებლები ეჭვმა „ზიგენის" ბოსნიელ მეკარე ადრიან მაშიჩზე გაიყვანა, რადგან დაირხა ხმა, რომ ეს 30 წლის კაცი ხსენებული თამაშის წინ — თამაში კი „ჰანზამ" 2:0 მოიგო — სანიძლაო საქმის მავან ორ წარმომადგენელს შეხვდა.

„ჩვენ მაშიჩს ველაპარაკეთ და დავრწმუნდით, რომ ის არაფერ შუაშია" — განაცხადა „ზიგენის" პრესმდივანმა ალექს იაკობმა, ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ, როგორც ჩანს, ქრთამის აღება და მიცემა ყოფილ იუგოსლავიაშიც ძალიან კარგად ეხერხებათ. ცხადია, უდანაშაულობის პრეზუმპციას არ ვარღვევთ და მაშიჩს დამნაშავედ არ ვაცხადებთ, მაგრამ ის ხომ ყოფილი იუგოსლავიელია და ამაზე გასულ ნოემბერს თითქოსდა ჩამთავრებული სკანდალიც გვახსენდება, როდესაც ხორვატული სანიძლაო დაჯგუფება გერმანიის ქვედა ლიგებში საქმეთა მოკვარახჭინებაში ამხილეს. ეს სწორედ ის საქმეა, რომლის მთავარი გმირი 26 წლის გერმანელი მსაჯი რობერტ ჰოიზერი გახლდათ. ნოემბერში დამთავრებულმა სასამართლომ ჰოიზერს პირობითი პატიმრობა მიუსაჯა და ზედ მსაჯობაც აუკრძალა, რის შემდეგაც მან განაცხადა, რომ ამერიკული ბურთაობის გერმანულ ლიგაში აპირებს თამაშს. მასთან ერთად დაისაჯა კიდევ ერთი არბიტრი დომინიკ მარკსიც.

„სკანდალისთვის კარგი დრო არ არსებობს, მაგრამ ახლა, როდესაც გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამალებული მზადებაა, ეს ნამდვილად შემაშფოთებელია" — განაცხადა გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა თეო ცვანციგერმა.

**პაპუნა ძიძია**

# ბიზნესმენი, დოქტორი, მწვრთნელი

## რაზე ფიქრობს გლაზგოში მიმავალი ფრანგი?



**ხელმოწერილი** ამბავია — ივნისიდან „რეინჯერსს" პოლ ლე გუენი ჩაიბარებს, ალექს მაკლიშის ოთხწლინახევრიანი „ჩაფრული" კარიერა დასრულდება. ფრანგმა კი შოტლანდიურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პოლ ლე გუენმა „ლიონი" სამჯერ გააჩემპიონა, შარშან ზაფხულს გუნდიდან წავიდა და უმუშევარი იყო.

„მისი სამწვრთნელო მონაგარი ყველაფერზე მეტყველებს — განაცხადა „რეინჯერსის" თავმჯდომარე დევიდ მიურეიმ — მჯერა, რომ ფრანგი გუნდს შოტლანდიაშიც და ევროპაშიც წარმატებას მოუტანს".

„ბევრი ევროპული კლუბი მეპატიჟებოდა — აღნიშნა ლე გუენმა — მაგრამ „რეინჯერსი" ვარჩიე და ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი. გუნდში ძირეულ ცვლილებებს არ ვაპირებ. საქმე ძალიან მომენატრა და ვეცდები, სამუშაო ფრიადზე შევასრულო. ახლა თავში მხოლოდ ივნისი და „რეინჯერსი" მიტრიალებს".

„ბრესტისა" და „ნანტის" ყოფილმა ფეხბურთელმა სახელი პსჟ-ში გაითქვა, სადაც 1991 წელს გადავიდა. იქ მან შვიდი სეზონი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში ჩემპიონობა (1994), თასების მფლობელთა თასი (1996) და სამჯერ საფრანგეთის თასი მოიპოვა.

პოლ ლე გუენი 24 წლის იყო, სამწვრთნელო საქმის სწავლა რომ დაიწყო და დიპლომიც ფეხბურთელობისას აიღო.

1998 წელს კარიერა დაასრულა და „რენის" თავკაცი გახდა. „რენი" 1999-2000 წლების სეზონში მეხუთე ადგილზე გაიყვანა. 2002-ში „ლიონი" ჟაკ სანტინისგან ჩაიბარა და გუნდი მიჯრით სამჯერ ჩემპიონი გახადა.

ბიზნესმენივით გამოწყობილ და ლექტორივით მოსაუბრე პოლ ლე გუენს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი აქვს. არ უყვარს ბევრი ლაქლაქი, ინტერვიუების დარიგება, იშვიათად იცინის და მის ოჯახზეც ძალიან ცოტაა ცნობილი, მაგრამ გლაზგოში, ბრიტანული მედიის გადამკიდეს, პირადი ცხოვრების დამალვა ალბათ გაუჭირდება.

# კლინსმანმა თავი მამის წლისთავით იმართლა





**გერმანიის** ნაკრების თავკაც იურგენ კლინსმანს ბოლო დროს ბევრი მოხვდა. მას მარტო „ნაციონალმანშაფტის" ცუდი თამაშის გამო არ აკრიტიკებენ — ძირითადად ამერიკაშია და, აბა როგორ შეძლებს სათანადო დონეზე თავისი საქმის კეთებასო.

ახლახან გერმანიამ დიუსელდორფში, სამუნდიალო საორგანიზაციო უორკშოპი მოაწყო, მაგრამ იქ ყოფნის ნაცვლად კლინსმანი ისევ კალიფორნიაში გაემგზავრა, რასაც მორიგი კრიტიკის ქარცეცხლი მოჰყვა. ცოტა ხნის წინ, ასევე ცნობილმა ფეხბურთელმა შტეფან ეფენბერგმაც კი ისროლა თავისი ყოფილი თანაგუნდელის ბოსტანში ქვა — სანამ დროა, კლინსმანი მოხსენით და ოტმარ ჰიცფელდი დანიშნეთო.

ხმა კლინსმანმაც ამოიღო: „მე ვიცი ჩემი მოვალეობები და ვგეგმავ კიდეც, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე დავბრუნდე გერმანიაში და დავრჩე. იქამდეც ხშირად ჩამოვალ, მაგრამ დროის ნაწილს კვლავ კალიფორნიაში გავატარებ".

კლინსმანმა ისიც ახსნა, თუ რატომ არ იყო დიუსელდორფში: „დიუსელდორფში იჯახური მიზეზის გამო არ ვიყავი. გასულ კვირაში მამაჩემის გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა და დედაჩემს შევპირდი, რომ ამ დღეებს ერთად გავატარებდით კალიფორნიაში" — აღნიშნა კლინსმანმა.

**გიორგი ძაძამიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცერცვი და კედელი





## სერ ბობი რობსონის გულისამაჩუყებელი ღია წერილი ჟოზე მაურინიუს

### შეიცვალე, ჟოზე, ხალხს თავს ნუ შეაძულებ

ჩემო ჟოზე!

ექვსი წლის განმავლობაში ყოველდღე ერთად ვიყავით სავარჯიშო მოედანსა თუ სტადიონზე. ჯერ ლისაბონში, მერე პორტუში, ბოლოს კი ბარსელონაში. ეს უბედნიერესი დრო იყო ჩემს ცხოვრებასა და საქმეში და მასში შენც დიდი წვლილი მიგიძღვის.

ისე ვამაყობ შენით, რომ ვერც წარმოიდგენ. მწვრთნელობაში ათას რამეს მიაღწიე: პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა მოიგე, რაც მე ვერასდროს მოვახერხე. შენთვის ძნელი წარმოსადგენიც იქნება ჩემი სიამაყე და ეგებ ცოტა მოულოდნელიც. შენ ახალგაზრდა, სიმპათიური, ჭკვიანი კაცი ხარ და ეს საუცხოოა. მამის განცდებით ვადევნებ თვალყურს შენს საქმიანობას, იმ მოვლენებსაც, ცოტა არ იყოს, მამასავით ვუყურებ, რომლებიც შენ გარშემო ტრიალებს. თუმცა ისიც ვიცი, რომ ყოველთვის მიმიხვდები. ჩვენ უბრალოდ თანამშრომლები არასოდეს ვყოფილვართ. ერთად ვზეიმობდით გამარჯვებას და ერთად ვხალისობდით. მე პირველი ვარ, ვინც შენი განსაკუთრებული გონება შეამჩნია და შენს საფეხბურთო ვნებას გემო გაუგო. ისიც ვიცი, რომ დღევანდელი შენი იმიჯი სულ სხვაა, შენი შინაგანი სამყარო კი სულ სხვა. შეიძლება, კრიჭა შეკრა და არაფერი თქვა, მაგრამ ვიცი, რომ კრიტიკას არასოდეს ეთანხმები.

ის, რაც მაშფოთებს, ჩემო ჟოზე, ისაა, რომ ვხედავ, შეგიძლია ისტორიულ პიროვნებად, ფეხბურთის ერთ-ერთ ლეგენდად შეიქნე, მაგრამ გარემოებანი რისკის ქვეშ აყენებს შენს სახელს. წინააღმდეგობრივი ისტორიები შენ გარშემო, შენი ნებისმიერ ფასად გამარჯვების სურვილი, მიუტევებლობა და სხვათა უპატივცემულობა შენს ცხოვრებას ხეირს არ მოუტანს. ძალიან მწყინს, როცა მესმის, როგორ ხარობს ხალხი იმის გამო, როგორც ბარსელონაში მოგექცნენ. შენი მიღწევები უკეთეს მოპყრობასა და პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ამაში შენი დანაშაულის წილიცაა.

არასოდეს დამავიწყდება ის ბრწყინვალე დოსიეები, მოწინააღმდეგე გუნდების შესახებ რომ მიდგენდი. ამ დონის გამოკვლევები ფეხბურთში მე არასოდეს წამიკითხავს. არ მჯერა, რომ შენი ახლანდელი მდგომარეობის გამოკვლევა არ შეგიძლია. ჟოზე, საქმეები აუცილებლად უნდა მოაწესრიგო.

გინდა გითხრა, რამ შემაწუხა ყველაზე მეტად? როცა „ვესტ ბრომთან“ მატჩში არიენ რობენი უხეშობისთვის გააგდეს, შენ დამცინავად დაუკარი ტაში მსაჯს. ასეთი ტაშისთვის უეინ რუნი მინდვრიდან გააძევეს. ის ოცი წლისაა, მაგრამ მიხვდა და მოიბოდიშა. თუკი ბიჭმა მოახერხა ეს თავისი ასაკისთვის საძნელო საქმე, შენ რატომ არ შეგიძლია?

მაშფოთებს შენი შეხედულება იმის თაობაზე, რომ თუ არა წინასწარგანზრახულება და დაგეგმილი ხიფათი, შენი გუნდი არ წააგებს. ეს არასწორია, ჟოზე. იცი, რატომ იყვნენ ბილ შენკლი და ბრაიან კლაფი დიდი მწვრთნელები? იმიტომ, რომ, ისინი არა მხოლოდ თავიანთი კლუბებისთვის, არამედ ფეხბურთისთვისაც აკეთებდნენ საქმეს. სექტემბერში ბილ შენკლის გარდაცვალებიდან 25 წლისთავი შესრულდა და მას არა მარტო მისი ლივერპულელები, არამედ მთელი ინგლისის ფეხბურთელები იხსენებდნენ ტკბილად. მე მინდა, რომ შენ ბილ შენკლის ჰგავდე და არა შენი თავი ფეხბურთში, არამედ ფეხბურთი გიყვარდეს. ნაპოლეონი გენიოსი იყო, მაგრამ ცუდად დაამთავრა, რადგან მე მგონია, რომ სამყარო სძულდა და სულ კონფლიქტი უნდოდა. ბრაიან კლაფმა ყიამყრალი ლაპარაკი იცოდა და საშინელებებს ამბობდა, მაგრამ მისი ფეხბურთელები მსაჯს არ აგინებდნენ. სხვაობა სწორედ ეს არის.

როცა შენ ჩამოხვედი, ჟოზე, თქვი, მე განსაკუთრებული ვინმე ვარო. ყველამ ხალისით მიიღო ეს ნათქვამი და გაგიცინეს. ეს უფრო ავანსი იყო. შენ სხვანაირი იყავი, სუფთა და ახალი ჰაერი ჩვენს ფეხბურთში, მაგრამ მითხარი, რატომ გაექაჩე ბრაიან რობსონს იმავ „ვესტ ბრომთან“ მატჩში? ის ხომ მართალი იყო: შენი ფეხბურთელი სიმულანტობდა. ანდა საიდან მოიტანე, რომ ჯადოსნური ლიონელ მესი სიმულანტია? ერთი სიტყვა მაინც უნდა გეთქვა მის საფეხბურთო გენიაზე. შენ განსაკუთრებული ნიჭის ადამიანი ხარ, ჟოზე, მაგრამ ამ თამაშში კაცს კარგი არაფერი დაემართება, თუ ის მეტოქეს პატივს არ სცემს და მსაჯებს ლანძღავს.

მსაჯებს ეშლებათ, მაგრამ ამაში წაგების მიზეზის ძებნა სისულელეა. მე გამიხარდა, როცა ბარსელონაში მატჩის შემდეგ შენ ხელი ჩამოართვი ფრანკ რაიკარდს და მიულოცე მას, ისიც გამიხარდა, კოცნა რომ გაუგზავნე შენდამი მტრულად განწყობილ „კამპ ნოუს“, რომელიც ასე გიყვარდა ოდესღაც.

მე მგონია, რომ შენი მთავარი საქმე „ჩელსიში“ ნამდვილად არ არის ის, რომ გუნდის გამარჯვებათა ფონზე საკუთარი თავი ყველასთვის საძულველ ფიგურად ჩამოქნა. თუ ასე მოხდება, სხვაგან კი არა, შენს კლუბშიაც აღარ გეყოლება მეგობარი.

„ჩელსის“ პატრონებს უნდათ, რომ კლუბი ისეთივე პოპულარული და საყვარელი გახადონ, როგორებიც „რეალი“ და „მანჩესტერია“, მაგრამ ამას მარტო გამარჯვებები არ შველის, ამ სიყვარულს დამსახურება უნდა.

ინგლისში ჩამოსვლის შემდეგ რამდენჯერმე გნახე. მშვიდი და ღირსეული ჩამოხვედი, ერთ სეზონში ორი ტიტული მოიგე და ყველა დაადუმე. ბოლოს „ფულემ“ — „ნიუკასლის“ მატჩზე შევხვდით რამდენიმე კვირის წინ, დაძაბული მეჩვენე. შენ დიდი ოხუნჯი ბიჭი ხარ ჟოზე, მიდი, გაიცინე!

ბარსელონაში მთლად ახალგაზრდა იყავი, მაგრამ მშვენივრად აგვარებდი საქმეებს იქაურ ვარსკვლავებთან, ხრისტოსთან, გვარდიოლასთან, რონალდოსთან. მარტო პატივს კი არ გცემდნენ, მეგობრობდნენ შენთან. ჰოდა, სწორედ ამის დაბრუნება მინდა. ვიცი, ბოლო კვირები ცუდი გქონდა, ყველაზე ცუდი შენს კარიერაში. მგონია, რომ ამას ცივი შხაპის დანიშნულებაც ექნება.

შენკლიზე იფიქრე, ჟოზე, და არა ნაპოლეონზე. არაფერი ისე არ გამახარებს, როგორც შენი გასვლა საგაისო ჩემპიონთა ლიგის ფინალში. მარტო მე კი არა, სხვებიც უნდა გაახარო.

შენი ბობი

მოხუცი მწვრთნელის სენტიმენტალური სენტენციები, რომელთაც ყურად აღარავინ იღებს

**დიდი მწვრთნელები არა მხოლოდ თავიანთი კლუბებისთვის, არამედ ფეხბურთისთვისაც აკეთებენ საქმეს**

**გიყვარდეს ფეხბურთი და არა შენი თავი ფეხბურთში**

*ირაკლი გამყრელიძის გვერდი ლონდონიდან*

# ინგლისში დემოკრატიული ხლაფორთია
## ნაკრების მწვრთნელი მარტო აღარ იქნება

**სამიოდ** თვეც და სვენ გორან ერიკსონი ინგლისის ნაკრებიდან წავა.

ფეხბურთის ასოციაციას კი უკვე შეუმუშავებია რადიკალური გეგმა, რომლის მიხედვითაც ნაკრების მწვრთნელობა ერთი კაცის ხელში აღარ იქნება.

ამ გეგმას დამტკიცებამდე ბევრი უკლია, მაგრამ ამბობენ, რომ ნაკრების ახალ მენეჯერს სამი თანამწვრთნელი ეყოლება.

ამ სამთაგან ორნი კლუბებიდან მოუწყვეტლივ იქნებიან ჩარლტონელი ალან კერბიშლი და სიტელი სტიუარტ პირსი, ხოლო მათ უფროს-მოძღვრად ან ასოციაციის ამჟამინდელი დიდმოხელე ტრევორ ბრუკინგი, ან კიდევ სერ ბობი რობსონი, რომელიც ამასწინათ ძალიან დაეხმარა ირლანდიის ნაკრების ახალბედა მწვრთნელს სტივ სტონტონს.

ეს სამი კაცი მენეჯერს საქმეებს გაურჩევსო, თვლიან ასოციაციაში, თუმცა გეგმას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს.

ასოციაციის პასუხისმგებელი შეფი ბრაიან ბარვიკი უფრო ტრადიციული გზის მომხრეა: მენეჯერი ერთი კაცი უნდა იყოს და საქმეც მას უნდა ეკითხებოდესო. ამ კაცად ბარვიკს ულაპარაკოდ მიაჩნია მარტინ ონილი, რომელსაც, მისი აზრით, ამ პატივცემულ მწვრთნელთა ტრიუმვირატი არ სჭირდება. საერთოდ, ნაკრების მენეჯმენტის სტრუქტურა ბარვიკმა და მისმა ორმა თანაკომიტეტელმა უნდა გადაწყვიტონ.

ამთავითვეა ცნობილი, რომ თუკი ონილი ნაკრების მწვრთნელად მოვა, ის თავის შტატს მოითხოვს და არა მწვრთნელთა სამეულს. ანუ ონილს, როგორც ყველა ინგლისელ მენეჯერს, თავისი თანშეზრდილი სამეული ჰყავს.

რა თქმა უნდა, კერბიშლისა და პირსს ფეხბურთელები პატივს სცემენ, სერ ტრევორსაც და სერ ბობისაც, მაგრამ ამ დემოკრატიული ხლაფორთიდან რა გამოვა, ძნელი სათქმელია.

ახალი მენეჯერი ბარვიკთან ერთად უნდა დაასახელონ ასოციაციის საზღვარგარეთის საქმეთა გამრიგემ ნოელ უაიტმა და პრემიერლიგის თავმჯდომარემ დევიდ რიჩარდსმა. რიჩარდსი და ბარვიკი ემხრობიან ბრიტანელი მენეჯერის კანდიდატურას, თუმცა სტრუქტურაზე ვერ თანხმდებიან.

ამასობაში კი ერიკსონი საქმეში ჩაბმულა და სიდიადით მოსილს სწადია წასვლა.

**ირაკლი გამყრელიძე**



ალან კერბიშლი



# მანქანაში შერონ სტოუნთან ანუ მტვერსასრუტი და ერის მოღალატე



**„სარბიელის“** მკითხველო მამაკაცებო, გინდათ შერონ სტოუნთან ეროტიკულ ეპიზოდში თამაში? ეპიზოდი ძალიან მოკლე იქნება, შერონ სტოუნი — ნამდვილი. საბოლოოდ, ფილმში „ძირითადი ინსტინქტი 2“ შევა კადრი, მანქანაში თქვენი და შერონის სექსით.

ვინ იცის, ამ სიტყვების წაკითხვისას რამდენმა ადამიანმა შეჰყვირა, მინდაო, მაგრამ გაფრთხილებთ, ამბობენ, რომ ეროტიკული ეპიზოდის თამაში ძალიან განსხვავდება ცხოვრებისეული ეროტიკისგან და მას თამაში, შესრულება სჭირდება. ამბობენ იმასაც, რომ ეროტიკული სცენების თამაში პროფესიონალ მსახიობებს, ხშირ შემთხვევაში უმაღლესი დონის ვარსკვლავებსაც უჭირთ და, რაც მთავარია, ეპიზოდი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, უკვე გადაღებულია, ასე რომ...

და მაინც, გაინტერესებთ, ვინ ითამაშა ეს ეპიზოდური როლი? მოგახსენებთ, არცთუ შორეულ წარსულში „ლივერპულის“ ფეხბურთელმა სტენ კოლიმორმა, რომელსაც სითამამე ხასიათში ყოველთვის ჭარბად ჰქონდა და, ალბათ ამიტომ, ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ აგენტმა კინოსკენ უბიძგა.

„კინოში თამაშის გამოცდილება მქონდა და არ გამჭირვებია“ — უთხრა კოლიმორმა ჟურნალისტებს, რომლის როლი სინამდვილეში ცოტა უფრო დიდია, ვიდრე მხოლოდ მანქანაში სექსის სცენა.

ასე და ამგვარად, შევეხეთ ძალიან საინტერესო თემას: რას აკეთებენ ყოფილი ფეხბურთელები მოედნიდან წასვლის შემდეგ.

ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს, აბა, ვინ გასცემს. ნამდვილად ვერ გეტყვით, რითაა ახლა დაკავებული, მაგალითად, ემანუელ ამუნიკე ან მავანი კარმელ ბუზუტილი, მაგრამ კოლიმორის გარდა ორ კაცზე კიდევ მოგახსენებთ. პირველი შვედი თომას ბროლინია, 1992 წლის ევროპისა და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატების ერთ-ერთი ვარსკვლავი, 90-იანი წლების „პარმას“ სახეთაგანი. ის მტვერსასრუტებით ვაჭრობს. მეორე კი სერ ჯეფ ჰერსტი გახლავთ, ინგლისის გმირი, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, გერმანიის კარში სამი გოლის ავტორი. ამ სამი გოლიდან ერთზე დღემდე დავობენ, გაუგებარია, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი, თუმცა ეს ამბავი იმდენად ცნობილია, რომ აღარ გავიმეორებთ და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ სერ ჯეფ ჰერსტმა... სამშობლოს უღალატა. დიახ, ბევრის აზრით, სწორედ ასეა, რადგან მან, არც მეტი, არც ნაკლები, გერმანულ ტურისტულ ფირმას გაუბა თანამშრომლობა და ლონდონის მეტროს სადგურებში გამოკრული პლაკატებიდან ხალხს ამ ზაფხულს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებისკენ მოუწოდებს.

ახლა მოკლედ განვიმარტავთ, რატომ მაინც და მაინც ჰერსტი. იმიტომ, რომ გერმანელებმა გადაწყვიტეს ინგლისში თავიანთი იმიჯი შეცვალონ და მშრალის ნაცვლად იუმორით სავსე ხალხის შთაბეჭდილება შეუქმნან ბრიტანელებს. ამიტომ მოიფიქრეს ჯეფ ჰერსტთან თანამშრომლობაც, მაგრამ ვაგლახ, ან მათმა იუმორმა ვერ ივარგა, ანაც ინგლისელებს თავად არ ესმით ხუმრობა. „სანში“ გამოქვეყნდა ხალხის რეაქცია ამ ამბავზე და ვაი ამ რეაქციას. ერთმა ქომაგმა ჰერსტის ამბავი გერმანელებისთვის „იმ“ გოლისთვის ბოდიშის მოხდადაც კი მიიჩნია.

**პაპუნა ქედია**

## უკრაინა
### უმაღლესი ლიგა
### XXI ტური

დინამო — ვორსკლა 0:0; ვოლინი — ილიჩევეცი 0:0; შახტარი — მეტალისტი 2:0; დნიპრო — ზაკარპატია 4:0; ხარკოვი — სტალი 0:1; კრივბასი — არსენალი 1:0; ტავრია — მეტალურგი (ზ) 1:0; ჩერნომორეცი — მეტალურგი (დ) 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 17 | 4 | 0 | 48:12 | 55 |
| შახტარი | 21 | 16 | 4 | 1 | 45:9 | 52 |
| ჩერნომორეცი | 21 | 10 | 4 | 7 | 28:20 | 34 |
| ილიჩევეცი | 21 | 9 | 6 | 6 | 21:21 | 33 |
| მეტალურგი (დ) | 21 | 8 | 7 | 6 | 25:16 | 31 |
| მეტალისტი | 21 | 9 | 3 | 9 | 26:29 | 30 |
| ვოლინი | 21 | 8 | 4 | 9 | 26:33 | 28 |
| დნიპრო | 20 | 7 | 5 | 8 | 21:20 | 26 |
| ხარკოვი | 21 | 7 | 5 | 9 | 24:26 | 26 |
| სტალი | 20 | 6 | 7 | 7 | 17:26 | 25 |
| ვორსკლა | 21 | 6 | 6 | 9 | 18:26 | 24 |
| ტავრია | 21 | 6 | 4 | 11 | 15:24 | 22 |
| მეტალურგი (ზ) | 21 | 6 | 4 | 11 | 20:30 | 22 |
| არსენალი | 21 | 5 | 6 | 10 | 17:28 | 21 |
| კრივბასი | 21 | 5 | 5 | 11 | 17:24 | 20 |
| ზაკარპატია | 21 | 2 | 6 | 13 | 12:36 | 12 |

## სლოვაკეთი
### I ლიგა. XXII ტური

დუბნიცა — ინტერი 2:1; ნიტრა — ბანსკა ბისტრიცა 2:1; ტრნავა — ტრენჩინი 3:0. *ჟილინა — არტმედია და პუხოვი — რუჟომბეროკი გადაიდო*

## იაპონია
### ჯეი ლიგა. II ტური

ურავა — ივატა 3:1; იჩიჰარა — კოფუ 2:2; ნიიგატა — ტოკიო 2:0; შიმიცუ — ნაგოია 2:0; კაშიმა — იოკოჰამა 0:3; კიოტო — კავაზაკი 2:7; ფუკუოკა — ომია 1:1; ოიტა — ჰიროშიმა 1:1; სერეზო — გამბა 1:6

## ხორვატია
### ნაციონალლიგა
### XXII ტური

ჰაიდუკი — სლავენი 1:1; კამენი — ინტერი 0:1; მედიმურიე — რიეკა 2:4; ოსიეკი — ციბალია 1:1; ზაგრები — ვარტექსი 0:1; პულა — დინამო 2:1

## რუსეთი
### თასის მერვედფინალი
### საპასუხო მატჩები

მოსკოვი 1:3 *ტორპედო* (2:1)

ტერეკი 1:0 *ზენიტი* (0:2)

*დინამო* 2:0დ.დ.(პენ.3:1) *კრილია* (0:2)

*სატურნი* 0:0 ამკარი (1:0)

ლოკომოტივი (მ) — ლოკომოტივი (ჩ) გადაიდო

## დანია
### თასის მეოთხედფინალი

*რანდერსი* 3:0 ფრემი

## არგენტინა
### კლაუსურა. IX ტური

ხიმნასია (ხ) — სან ლორენსო 0:1; როსარიო — რასინგი 1:1; არსენალი — კოლონი 1:1; ლანუსი — ხიმნასია (ლ) 2:1; ველესი — ბანფილდი 1:0; ესტუდიანტესი — ოლდ ბოისი 2:1; ინსტიტუტო — არგ. ხუნიორსი 0:1; ოლიმპო — ტირო ფედერალი 3:0; ინდეპენდიენტე — რივერ პლეიტი 1:1; ბოკა ხუნიორსი — კილმესი 3:1

## მექსიკა
### კლაუსურა. IX ტური

ხაგუარესი — ატლასი 2:2; ტოლუკა — ტეკოსი 3:1; ატლანტე — პაჩუკა 1:2; დორადოსი — კრუზ ასული 2:2; გვადალახარა — სან ლუისი 1:3; ნეკაქსა — ამერიკა 1:0; უნამი — მორელია 1:0; სანტოსი — ვერაკრუსი 0:2; ტიგრესი — მონტერეი 2:1

## შვეიცარია
### ჩელენჯლიგა
### XXI ტური

ლუგანო — ბადენი 1:1; მეირინი — ვადუცი 2:3; ვინტერთური — ლოზანა 1:2; იუვენტუსი — კონკორდია 0:0; ბელინცონა — კიასო 0:0; ლუცერნი — სიონი 2:1; ვოლენი — კრინსი 1:1; შო დე ფონი — ლოკარნო 2:1. *ვილი — ბოლმი გადაიდო*


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# სარბიელი და კრონი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 530 | ლივერპული-ფულემი | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 16:45 | 1 | ევერტონი-ასტონ ვილა | 2.10 | 3.10 | 3.35 | 1.25 | 1.29 | 1.61 |
| 19:00 | 2 | ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 5.70 | 3.40 | 1.60 | 2.12 | 1.24 | 1.08 |
| 19:00 | 4 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 19:00 | 6 | ბოლტონი-სანდერლენდი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 19:00 | 8 | არსენალი-ჩარლტონი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 19:00 | 9 | სიტი-უიგანი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1,27 | 1.71 |
| 19:00 | 10 | ვესტ ჰემი-პორტსმუთი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 21:15 | 12 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 3.10 | 3.10 | 2.20 | 1.54 | 1.28 | 1.28 |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 17:30 | 14 | ნიუკასლი-ლივერპული | 2.85 | 2.90 | 2.45 | 1.43 | 1.31 | 1.32 |
| 20:00 | 15 | ფულემი-ჩელსი | 6.00 | 3.70 | 1.50 | 2.28 | 1.20 | 1.06 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 532 | პრესტონი-იფსვიჩი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 30 | როტერჰემი-ოლდემი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 23:30 | 533 | სკანთორპი-ჰარტლპული | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 43 | როჩდეილი-გრიმსბი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 23:45 | 44 | მაკლსფილდი-რექსემი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 534 | ოქსფორდი-როვერსი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 57 | საუთპორტი-ჰერეფორდი | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 23:45 | 540 | ექსეტერი-სტივენეიჯი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:30 | 535 | ბრეჩინი-სტ.მირენი | 6.00 | 4.00 | 1.40 | 2.40 | 1.13 | 1.03 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 75 | პარტიკი-დამბარტონი | 1.50 | 4.00 | 5.00 | 1.09 | 1.15 | 2.22 |
| 23:30 | 76 | გრეტნა-სტირლინგი | 1.25 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.07 |
| 23:30 | 536 | ფორფარი-რეითი | 2.40 | 3.50 | 2.40 | 1.42 | 1.20 | 1.42 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:30 | 537 | არბროთი-ქუინზ პარკი | 1.90 | 3.50 | 3.20 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 23:30 | 538 | ისტ სტირლინგი-კოუდენბითი | 7.00 | 4.20 | 1.35 | 2.62 | 1.13 | 1.02 |
| 23:30 | 539 | ელგინი-ბერიკი | 3.10 | 3.40 | 2.00 | 1.62 | 1.21 | 1.25 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 18:30 | 87 | აინტრახტი-დუისბურგი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 18:30 | 88 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 3.10 | 3.00 | 2.25 | 1.52 | 1.30 | 1.28 |
| 18:30 | 90 | დორტმუნდი-ლაუტერნი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 18:30 | 91 | ჰანოვერი-კიოლნი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 18:30 | 93 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:30 | 94 | ბაიერნი-შალკე | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 18:30 | 95 | ნიურნბერგი-ვერდერი | 3.20 | 3.10 | 2.15 | 1.57 | 1.28 | 1.26 |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 96 | გლადბახი-შტუტგარტი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| 20:30 | 97 | ჰერტა-არმინია | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 22:00 | 133 | აუსტრია(მ)-ალტახი | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| 22:00 | 134 | ლეობენი-კაფენბერგი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 22:00 | 135 | გრატკორნი-კერნტენი | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| 22:00 | 136 | აუსტრია(ლ)-კუფშტაინი | 1.25 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.94 |
| 22:00 | 137 | ლინცერი-შვანენშტადტი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 159 | ტრევიზო-კალიარი | 2.75 | 3.00 | 2.45 | 1.43 | 1.29 | 1.34 |
| 23:30 | 160 | ლივორნო-იუვენტუსი | 4.10 | 3.10 | 1.85 | 1.76 | 1.27 | 1.15 |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 162 | ინტერი-ლაციო | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 18:00 | 163 | რეჯინა-ემპოლი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 18:00 | 164 | ფიორენტინა-ასკოლი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 18:00 | 166 | უდინეზე-მილანი | 4.20 | 3.20 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| 18:00 | 168 | სამპდორია-პალერმო | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| 18:00 | 169 | ლეჩე-პარმა | 2.60 | 2.90 | 2.65 | 1.37 | 1.31 | 1.38 |
| 18:00 | 171 | კიევო-სიენა | 1.90 | 3.10 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| 23:30 | 172 | რომა-მესინა | 1.40 | 4.20 | 6.50 | 1.04 | 1.15 | 2.55 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 206 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 23:00 | 207 | სოსიედადი-ბარსელონა | 5.20 | 3.50 | 1.60 | 2.09 | 1.22 | 1.09 |
| 21:00 | 210 | ხეტაფე-დეპორტივო | 2.55 | 3.00 | 2.75 | 1.37 | 1.32 | 1.43 |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 204 | კადისი-ალავესი | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 23:45 | 205 | სელტა-ბილბაო | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 22:00 | 208 | რეალი-ბეტისი | 1.40 | 4.30 | 7.00 | 1.05 | 1.16 | 2.66 |
| 20:00 | 211 | სევილია-მალიორკა | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 20:00 | 212 | ესპანიოლი-ოსასუნა | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 20:00 | 213 | რასინგი-ვალენსია | 3.40 | 3.10 | 2.10 | 1.62 | 1.29 | 1.25 |
| 22:00 | 215 | მალაგა-სარაგოსა | 2.65 | 2.90 | 2.70 | 1.38 | 1.33 | 1.39 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 381 | პეტრჟალკა-პუხოვი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 20:30 | 382 | ბ.ბისტრიცა-ტრნავა | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 472 | ინტერი-აიაქსი | 1.40 | 4.00 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 473 | ჰამბურგი-რაპიდი(ბ) | 1.45 | 3.90 | 6.30 | 1.05 | 1.17 | 2.40 |
| 23:45 | 474 | რომა-მიდლსბრო | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 23:45 | 475 | სევილია-ლილი | 1.70 | 3.20 | 5.00 | 1.11 | 1.26 | 1.95 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 476 | ზენიტი-მარსელი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 20:30 | 477 | ლევსკი-უდინეზე | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 21:00 | 478 | სტრასბური-ბაზელი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 23:30 | 479 | შალკე-პალერმო | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 23:45 | 480 | ბეტისი-სტიაუა | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 488 | სიტი-ასტონ ვილა | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 489 | ვესტ ჰემი-ბოლტონი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| | | **ინგლისი LDV Vans Trophy** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 531 | კოლჩესტერი-სუონსი | 2.15 | 3.10 | 3.10 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| | | **ირლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 496 | დროგედა-პორტდაუნი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:45 | 497 | დანგენონი-კორკი | 5.00 | 3.50 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 502 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| | | **პორტუგალია. თასი** | | | | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 503 | აკადემიკა-სპორტინგი | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 19:00 | 504 | სეტუბალი-ბოავიშტა | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 22:30 | 505 | მარიტიმუ-პორტუ | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 23:45 | 506 | ბენფიკა-გიმარაეში | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 15:00 | 509 | სპარტაკი-ენერგია | 1.35 | 4.30 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| | | **შვეიცარია.თასი** | | | | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 23:15 | 500 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 23:15 | 501 | ვინტერთური-სიონი | 3.30 | 3.20 | 2.05 | 1.62 | 1.26 | 1.24 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 518 | ველესი-უნივერსიტარია | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 23:45 | 519 | სერო-ატლ.ნასიონალი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 23:45 | 520 | სიენსიანო-კარაკასი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 648 | ესეტი-იუვესკიულე | 1.75 | 4.20 | 2.50 | 1.23 | 1.02 | 1.56 |
| 20:30 | 649 | ესპოო-ტურკუ | 1.90 | 4.20 | 2.40 | 1.30 | 1.06 | 1.52 |
| 20:30 | 650 | ჰაამეენლინა-პელიკანსი | 1.35 | 4.50 | 5.00 | 1.03 | 1.06 | 2.36 |
| 20:30 | 651 | იოკერიტი-კერპეტი | 2.20 | 4.10 | 2.10 | 1.43 | 1.07 | 1.38 |
| 20:30 | 652 | კალპა-ილვესი | 3.60 | 4.40 | 1.40 | 1.98 | 1.00 | 1.06 |
| 20:30 | 653 | სეიპა-ლუკო | 1.30 | 4.60 | 4.30 | 1.01 | 1.00 | 2.22 |
| 20:30 | 654 | ტაპარა-ჰელსინკი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 664 | პოპრადი-ტრენჩინი | 2.00 | 4.20 | 2.40 | 1.35 | 1.09 | 1.52 |
| 20:00 | 665 | ჟილინა-ზვოლენი | 2.10 | 4.00 | 2.30 | 1.37 | 1.09 | 1.46 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:00 | 679 | ცუგი-რაპერსვილი | 1.90 | 4.20 | 2.35 | 1.30 | 1.05 | 1.50 |
| 23:00 | 680 | კლოტენი-ბერნი | 2.20 | 4.10 | 2.20 | 1.43 | 1.10 | 1.43 |
| 23:00 | 681 | ბაზელი-დავოსი | 2.30 | 4.10 | 2.10 | 1.47 | 1.09 | 1.38 |
| 23:00 | 682 | ამბრი-ლუგანო | 2.05 | 4.10 | 2.30 | 1.36 | 1.08 | 1.47 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 770 | უნიკახა-ოლიმპიაკოსი | 1.35 | 12.00 | 2.70 | 1.21 | 1.00 | 2.20 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10472 | ინტერი-აიაქსი | 1.55 | 2.40 | 6.40 | 1.00 | 1.24 | 1.74 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11472 | ინტერი-აიაქსი | 1.60 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12472 ინტერი-აიაქსი ---------------------------------- 1.80 -------- 1.80

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13472 ინტერი-აიაქსი ---------------------------------- 1.90 -------- 1.60

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14472 ინტერი-აიაქსი ---------------------------------- 1.12 -------- 2.60

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15472 | ინტერი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16472 ინტერი-აიაქსი ---------------------------------- 1.04 -------- 6.00

### გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17472 ინტერი-აიაქსი ---------------------------------- 1.85 -------- 1.95


CROCO BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი-დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| ცნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ზუგდიდი | გამსახურდიას №41 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |

## ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ეკატერინბურგი. რუსეთი 10 - 27 მარტი

II წრე. პირველი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) | 1:0 | ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) |
| ნინო ხურციძე (საქართველო) | 0,5:0,5 | მარიცა არიბასი (კუბა) |
| ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) | 1:0 | სუბარამან ვიაიალაქშმი (ინდოეთი) |
| ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 0,5:0,5 | ვენიუნ იუ (ჩინეთი) |

# ჩიბურდანიძის ეტლი მიქროდა



**ექვსი** ქართველიდან მეორე ეტაპზე ხუთი გავიდა და აქედან სამმა — ნანა ძაგნიძემ, ნინო ხურციძემ და ქეთევან არახამია-გრანტმა ტაიბრეიკებში იმარჯვა.

გათამაშებას გამოეთიშა 18 წლის მაკა ფურცელაძე, რომელმაც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ რუს ალისა გალიამოვასთან 0,5:1,5 დათმო შეხვედრა. მარცხის მიუხედავად, ახალგაზრდა ქართველზე აუგი მაინც არ ითქმის, მაკა ასეთ დიდ შეჯიბრზე პირველად გამოვიდა და გამოცდილ მეტოქესაც ბოლომდე ებრძოლა.

საინტერესო გამოდგა მეორე წრის შეხვედრებიც და აქ ერთი ქართული დუელიც შედგა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე არახამია-გრანტს დაუპირისპირდა.

ჩიბურდანიძემ ლაზიერის გამბიტით დაიწყო პარტია, ცენტრში მხედარ-პაიკები გაიყვანა და მე-7 სვლაზე შავებს კუთი შეუტია. არახამია-გრანტმა ხელმწიფის ფლანგი გაამაგრა, მეფეს დაცვა გაუძლიერა და საპასუხოდ, თეთრებს პაიკებით დაარტყა. მან ლაზიერის ფლანგიდან მსუბუქი ძალებით განავითარა იერიში, თუმც, რაღაც სწორად ვერ გათვალა და 25-ე სვლაზე პაიკი დაკარგა. ჩიბურდანიძემ იერიშისთვის დაიწყო მომზადება, G ხაზზე ორი ეტლი დასვა და შავი მეფის გამაგრებულ ალაგს დაუმიზნა. მდგომარეობის გასამუხტად არახამია-გრანტმა ლაზიერის ფლანგიდან მსუბუქი ფიგურებით შეუტია მეტოქეს, თუმც ვერაფერს გახდა და 30-ე სვლაზე მისმა არმიამ მძიმე დარტყმა მიიღო. ჩიბურდანიძემ ეტლებს ლაზიერიც მიაშველა, შავ მეფეს გასაქანი არ მისცა და 45-ე სვლაზე იმარჯვა.

მძიმე ბრძოლა მოიგო ლელა ჯავახიშვილმაც. ქართველი დიდოსტატი მთელი პარტიის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ფლობდა და მეტოქეს შამათი 54-ე სვლაზე ჩაუსვა.

**ლაშა გეგეჭკორი**



# კოკაი მინუსიდან ამოვიდა



**ოსაკის** ბაშოზე მეორე ტურის შეხვედრები ჩატარდა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, ცხადია, ლევან ცაგურიას ბრძოლა იყო და კოკაიმაც არ გაგვაწბილა. დასავლეთის პირველმა მაეგაშირამ მარცხიანი დებიუტი 1999 წლის ნაგოიას ბაშოს მომგებ დეძიმასთან გამოასწორა. ხვალ კი დადებითი ბალანსის შესაქმნელად სეკივაკე კოტომიცუკის დაეჭიდება.

გუშინდელი დღის მთავარი მოულოდნელობა 29 წლის ოძეკი ტოჩიაძუმას მარცხი გამოდგა. იოკოძუნას წოდების უმთავრეს პრეტენდენტს სპეციალისტებმა ოსაკის ბაშოს წინ მინიმუმ ცამეტი გამარჯვება უწინასწარმეტყველეს. ცამეტი ტური ჯერ კიდევ წინაა, თუმცა ტოჩიაძუმას ერთადერთი წაგების უვნებლად რჩება. მეორე ტურში მისი ცოდვა აღმოსავლეთის მესამე მაეგაშირამ, ამინასიკიმ დაიდო.

სენსაციად შეიძლებოდა მონათლულიყო პირველი ევროპელი ოძეკის კოტოოსიუს მარცხიც. ბალკანელმა გოლიათმა უმაღლესი დივიზიონის უმძიმეს სუმოისტთან, 182-კილოგრამიან კომუსუბი მიაბიამასთან წააგო, თან საკმაოდ იოლად. დევკაცმა გულივერს მაყურებლებში გადაუძახა. თუმცა კოტოოსიუს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ის მძიმე ტრავმაა, ბაშოს დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ვარჯიშისას რომ მიიღო.

უდანაკარგოდ მიიწევს წინ იმპერატორის თასის 15-გზის ამწევი იოკოძუნა ასასიორიუ. მონღოლმა ცისფერმა დრაკონმა გუშინ თანამემამულე ამა წააქცია, რითაც იანვრის ბაშოზე მარცხის გამო რევანში აიღო. დღეს ასასიორიუ შარშანდელი სექტემბრის ბოლოს ამოყრას ამინისიკისთან შეეცდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## ქართველები უცხოეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოისამ სიენაში ენა ამოიდგა

## სკიტამ ჩემპიონი მოედანზე ნახა



ვლადიმერ ბოისა

**ჩვენს** ლეგიონს გინდა აქედან მიუდექი, გინდა იქიდან: ევროპაში ვლადიმერ ბოისა და შემონდ უილიამსი ბოგინობენ, ამერიკის ფრონტზე კი ზაზა ფაჩულია უკონკურენციოდაა. გასულ კვირაში ხუთჯვაროსანთა ამქრიდან ისევ ეს სამეული გამოირჩა. შემონდ უილიამსმა ორიდან ერთ მატჩში კი „წაუარიფა", მაგრამ რაკი „ბარსელონამ" იმარჯვა, მომდურავი ბევრი არ ეყოლება.

„ბარსა" ევროლიგაში მასსავით წაუგებელ „ოლიმპიაკოსს" ეთამაშებოდა და დაძაბულ ბრძოლაში 76:72 იმარჯვა. ქართულპასპორტიანი ამერიკელი მოედანზე შავი ლაქასავით იყო. 24 წუთი ისე გალია, 2 ქულაზე მეტი ვერ მოინაგრა.

ეს მოხდა ხუთშაბათს, ორ დღეში კი „ბარსელონა" პრიმერადივიზიონში „ბილბაოს" შეხვდა და უილიამსმა თავი გაიგიჟა. ეგაა, მისი ქულუხვობა კატალონიელებს არ წაადგათ, „ბარსამ" ბასკებთან 85:94 წააგო.

უილიამსმა 35 წუთში 22 ქულა ჩაუგდო ბილბაოელებს და 6 პასიც მიითვალა. მატჩის ბომბარდირი გახდა, თუმცა, აკი უკვე ვთქვით, მოგება ბასკებმა წაიღეს.

მორიგი მძლავრი მატჩი ჩაატარა ვლადიმერ ბოისამ, რომელიც სერია A-ში თანდათან იმკვიდრებს ბომბარდირის სახელს. „სიენამ" გასულ კვირას „ვარეზეს" რომ მოუგო, ბოისამ 23 წუთში 17 ქულა და 7 მოხსნა გამოჭედა.

ევროპაში მობურთალ ხუთჯვაროსანთაგან მეტი ვერავინ გამოიჩინა თავი, თუ არ ჩავთვლით საკადეტო ასაკის ლევან შენგელიას, ვინც ლიტვის A ლიგაში „აკადემიას" „ტაურაგესთან" გაამარჯვებინა. შენგელიამ 24 წუთი ითამაშა და 14 ქულასთან ერთად 6 მოხსნა და 3 პასიც მიითვალა.

პრინციპული მატჩი მოიგო ლიუბლიანის „ოლიმპიამ", მაგრამ მანუჩარ მარკოიშვილი შედეგიანობით ვერ დაიკვეხნის. ოლიმპიელებმა ადრიატიკის ლიგაზე თანამემამულე და თანაქალაქელი „სლოვანი" დაამარცხეს, რომელიც ერთადერთი გუნდია, სლოვენიაში კონკურენციას რომ უწევს. მარკოიშვილმა 18 წუთში 2 ქულა და 1 მოხსნა მოინაგრა, „ოლიმპიამ" კი დაძაბულ ბრძოლაში 86:81 იმარჯვა.

ნბა-ს მოედანზე გამოჩნდა ნიკოლოზ ცქიტიშვილი, რომელსაც „სან ანტონიოსთან" წაგებულ მატჩში ებოძა რამდენიმე წუთი. „ფინიქსმა" შინ რომ ვერაფერი ვერ გააწყო მოქმედ ჩემპიონთან, მაიკ დანტონიმ ქართველი ფორვარდი მერელა შეუშვა მოედანზე. „სკიტა" 6 წუთი ეთამაშა ჩემპიონებს და 2 ქულა და ერთი მოხსნა გააჩერხა.

„სან ანტონიოს" გარდა „ფინიქსი" გასულ კვირას „შარლოტს" და ცქიტიშვილის ყოფილ გუნდ „მინესოტას" ეთამაშა, მაგრამ ქართველი ფორვარდი მოედანზე არ გამოჩენილა.

ზაზა ფაჩულია ზაზა ფაჩულიასავით თამაშობდა გასულ კვირაშიც. ანუ მან ათქულიანი ზღვარი ორივე მატჩში დაძლია, მაგრამ იმდენიც ვერ ჩააგდო, სხვებისგან რომ გამოერჩიათ.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | ვარეზე | შ | 72:63 | 23 | 17 | 7 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | სლოვანი | ს | 88:81 | 18 | 2 | 1 | 0 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ბოსნია | შ | 81:88 | არ უთამაშია | | | |
| შემონდ უილიამსი | ბარსელონა | ევროლიგა | ოლიმპიაკოსი | შ | 76:72 | 24 | 2 | 3 | 4 |
| | | ესპანეთის ჩემპ | ბილბაო | ს | 85:94 | 35 | 22 | 3 | 6 |
| გიორგი ცინცაძე | დინამო (მოს) | რუსეთის სუპერლიგა | უნიკსი | ს | 61:72 | 7 | 0 | 1 | 0 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის A ლიგა | ტაურაგესი | შ | 109:88 | 24 | 14 | 6 | 3 |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | ლიტვის A ლიგა | კაუნო | შ | 97:76 | 10 | 1 | 0 | 1 |
| | | | კაუნო | ს | 72:77 | 25 | 9 | 3 | 4 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპ. | შოლე | ს | 64:75 | 7 | 0 | 0 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარული ჩემპ. | გოლდენ სტეიტი | შ | 113:106 | 42 | 11 | 10 | 1 |
| | | | ჩიკაგო | შ | 90:95 | 30 | 11 | 6 | 1 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | მინესოტა | NBA რეგულარული ჩემპ. | შარლოტი | ს | 101:88 | არ უთამაშია | | | |
| | | | სან ანტონიო | შ | 93:117 | 6 | 2 | 1 | 0 |
| | | | მინესოტა | შ | 110:102 | არ უთამაშია | | | |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

12 მარტი

**პორტლენდი 111:101 ფინიქსი**

პორტლენდი: რენდოლფი (32 ქულა, 14 მოხსნა), მაილზი (20), ბლეიკი (18 ქულა, 13 პასი)

ფინიქსი: მარიონი (20 ქულა, 10 მოხსნა), დიაუ (20), ბელი (19), ნეში (13 ქულა, 16 პასი)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**დეტროიტი 94:78 შარლოტი**

დეტროიტი: ჰამილტონი (24), პრინსი (23)

შარლოტი: ფელტონი (18), ელი (15)

**მაიამი 98:92 კლივლენდი**

მაიამი: უეიდი (35), ონილი (18), მურნინგი (16)

კლივლენდი: ჯეიმსი (47), ილგაუსკასი (21)

**ლეიკერსი 113:120 სიეტლი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (22), ოდომი (21), მიმი (20 ქულა, 13 მოხსნა), უოლტონი (17), პარკერი (15)

სიეტლი: ლუისი (26), უილკოქსი (21), ალენი (19 ქულა, 10 მოხსნა)

**სან ანტონიო 88:81 ჰიუსტონი**

სან ანტონიო: დანკანი (20 ქულა, 10 მოხსნა), ფინლი (15), ჯინობილი (14)

ჰიუსტონი: მინი (25 ქულა, 10 მოხსნა), ალსტონი (15)

**ტორონტო 93:88 ინდიანა**

ტორონტო: პიტერსონი (25), ბოში (24), ჯეიმსი (21)

ინდიანა: ჯექსონი (26), ფოსტერი (18 ქულა, 16 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (18)

**ბოსტონი 106:101 დენვერი**

ბოსტონი: პირსი (36), შჩერბიაკი (18)

დენვერი: ენტონი (36), მილერი (19)

**საკრამენტო 85:80 დალასი**

საკრამენტო: მილერი (17 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), არტესტი (15)

დალასი: ნოვიცკი (24 ქულა, 13 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 84:95 ნიუ ჯერსი**

ნიუ ორლეანი: პოლი (17)

ნიუ ჯერსი: კარტერი (27), ჯეფერსონი (19), კრისტიჩი (17), კიდი (15 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი)

**მემფისი 91:94 ფილადელფია**

მემფისი: გასოლი (16), მილერი (16)

ფილადელფია: ვებერი (31 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), აივერსონი (18)

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# პტიცას რომაული ოინები



*ოლიმპიური თამაშების დებიუტანტს, როგორც წესი, ზურგს გარკვეული გამოცდილებაც უმაგრებს და სპორტულ სარბიელზე მოპოვებული რაიმე ჯილდოც, მაგრამ ვლადიმერ უგრეხელიძე ამ მხრივ ძალზე იშვიათი გამონაკლისი იყო. შემდგომში ქართული კალათბურთის ეს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ფიგურა რომის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა თანაგუნდელებთან ერთად ისე ჩავიდა, რომ მანამდე ერთი კინკილა მედალიც არ ჰქონდა მოგებული, იქიდან კი ვერცხლის ჯილდოთი დაბრუნდა. ამის მერე საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად გახდა ევროპის ჩემპიონიც, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორიც, ხოლო თბილისის დინამოელებთან ერთად მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი და საკავშირო თასი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა და კიდევ სამი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედლითაც გაიმდიდრა ნადავლი, მაგრამ თავისი სპორტული კარიერიდან ყველაზე მეტად რომის ოლიმპიურ სარბიელზე გამოსვლა დაამახსოვრდა. დაამახსოვრდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ვერცხლის მედალი მის სპორტულ კარიერაში პირველი იყო, არამედ ერთი მეტად კურიოზული შემთხვევის გამოც, რომელიც პუერტო რიკოს ნაკრებთან შეხვედრისას მოხდა. იმ ამბის გამო ის თითქმის დასრულებული პაექრობა 2 საათით გვიან დამთავრდა და რამდენიმე კაცი დაიჭრა კიდეც...*

*თუმცა, უმჯობესია, თავად ვლადიმერ უგრეხელიძის ნაამბობი გავიხსენოთ, რომელიც იმ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ სხვა კურიოზულ ამბებსაც გვიამბობს.*

**ავთანდილ გურასაშვილი**

**რომის** ოლიმპიურ თამაშებზე ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი ამბავი წინასწარ ჯგუფურ ეტაპზე პუერტო რიკოს ნაკრებთან შეხვედრისას მოხდა. მანამდე ჯერ მექსიკელებს მოვუგეთ (66:40), მერე ბრაზილიელებთან წავაგეთ (54:58), მესამე შეხვედრა კი სწორედ პუერტორიკოელებთან გვქონდა. წინა დღეს პუერტორიკოელები ამერიკელებს შეხვდნენ და ჩვენი მომავალი მეტოქის თამაშის სანახავად მთელი გუნდი წაგვიყვანეს. ამერიკელებმა, მიუხედავად იმისა, რომ ტურნირის ფავორიტები იყვნენ, ის შეხვედრა დიდი გაჭირვებით, ერთი ქულით მოიგეს. ამან, ცოტა არ იყოს, შეგვაფიქრიანა, მაგრამ პუერტორიკოელებს გამარჯვების არანაირი შანსი არ დავუტოვეთ. როცა ჩვენი შეხვედრის დასრულებამდე სულ რაღაც 58 წამილა რჩებოდა, ბრძოლას აშკარა უპირატესობით ვიგებდით. მთლად რომ გავჩერებულიყავით, მეტოქე დანაკარგს ვეღარაფრით აინაზღაურებდა. სწორედ ამ დროს რომელიღაც ჩვენმა თანაგუნდელმა ბურთი ტყორცნა. მეც უმალ ჩვეულებისამებრ კალათისკენ გავვარდი და ჰაერში ავხტი. ვიფიქრე, ბურთი თუ კალათში ვერ ჩაეშვება, ასხლეტილს უკან ჩავაბრუნებ ან დავამუშავებ-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ კალათბურთელის კვალობაზე არც ისეთი მაღალი ვიყავი (192 სმ), ძალიან მაღლა ვხტებოდი, არადა, სპორტული კარიერა ჭადრაკით დავიწყე. პლეხანოვზე, არტოს ბაღში თვით მიხეილ შიშოვთან დავდიოდი. ბოლოსლა გავიგე, რომ თურმე ნონა გაფრინდაშვილიც იქვე დადიოდა. მერე მძლეოსნობამ, თარჯრბენამ და სიმაღლეზე ხტომამ გამიტაცა. ერთი თანაკლასელი მყავდა, ცხონებული მურაჟინოვი. ისიც მძლეოსანი იყო და ვაკეთა მე-14 რუსულ სკოლაში ვსწავლობდით. ჰოდა, ერთხელაც გამოვქანდი და რაკი არავითარი ტექნიკა არ მქონდა, სიმაღლეზე პირდაპირ თხასავით მეტრსა და 80 სანტიმეტრზე გადავხტი. ეს რომ მურაჟინოვმა დაინახა, ლამის თვალები გადმოსცვივდა და, „ტი სმატრი ნა ნევო, კაკ პტიცა პრიგაეტ"-ო. მართალია, ჩიტი არ ხტუნავს, მაგრამ ეს სახელი — „პტიცა", დღემდე შემომრჩა. კალათბურთში სწორედ ჩემი მაღალი ნახტომის წყალობით მოვხვდი. რაკი სიმაღლეზე კარგად ვხტებოდი, მძლეოსნობა ფრენბურთში გავცვალე.

ისე, მაგიდის ჩოგბურთსაც კარგად ვთამაშობდი. დარწმუნებული ვარ, დიდ ჩოგბურთს უკეთ ვითამაშებდი, მაგრამ პატრონი არ მყავდა. თუმცა, რაც ვითამაშე, მგონი, ურიგოდ არ გამომდიოდა.

ჰო, იმას ვამბობდი, მძლეოსნობა ფრენბურთში გავცვალე-მეთქი, ბოლოს კი ჩემი კლასელი კობა ჯინჭარაძე... ჯინჯიხია შემიჩნდა, კალათბურთზე წამოდიო და მიხეილ კეკელიძესთან მიმიყვანა. იმან კი, რომ ამხედ-დამხედა, შეიცხადა, ეს ვინ მომიყვანეო.

მაშინ ძალიან გამხდარი და გაჩხიკული ვიყავი. ამიტომაც მიხეილ კეკელიძეს თვალში არ მოვუვედი, ბოლოს ყურებჩამოყრილი რომ დამინახა, მითხრა, აბა, ერთი ახტიო და, ფარს ზემოთ ამხტარი რომ დამინახა, ახლაც თვალწინ მიდგას მისი გაფართოებული თვალები და ყურებში ჩამესმის, დატოვეთ, დატოვეთ ეს ბიჭიო.

აი, ასე მოვხვდი კალათბურთში და „ფრენაც" დავიწყე. მაშინაც, რომის სარბიელზე პუერტორიკოელებთან შეხვედრისასაც ძალიან მაღლა ავხტი. ავხტი და ერთ-ერთი მეტოქე, ნებსით თუ უნებლიედ, ქვემოდან შემომივარდა და ხელი მტაცა. წონასწორობა დავკარგე და თავით იატაკზე ლურსმანივით რომ არ დავრჭობოდი, კალათს ჩავაფრინდი. მერე რა მოხდა, აღარაფერი დამინახავს. მხოლოდ საშინელი ხმა გავიგონე, თითქოს ბომბი გასკდაო. არ წავქცეულვარ, მხოლოდ მუხლებზე დავარდი მსუბუქად და, რომ წამოვიმართე, მხრები რაღაცას ავართყი. ავიხედე და ვხედავ, კალათბურთის ფარის მთელი კონსტრუქცია ძირიანად მოგლეჯილა და თავზე დამმხობია. ჩემს წინ მთლად დასისხლიანებული კიეველი თანაგუნდელი ალბერტ ვალტინი დგას, თითქოს საფანტივით დაუცრხილიათო. იქით კიდევ რამდენიმე დასისხლიანებულ მაყურებელს ვხედავ.

თურმე კალათბურთის კალათს რომ ჩამოვეკიდე, მისი დაფა ყუმბარასავით გასკდა და ბროლივით დაიმსხვრა, თან დგარის მთელი კონსტრუქცია ძირში მოწყდა და წამოვიდა. ეს რომ ვალტინმა დაინახა, გამოქანდა და ტონიანი კონსტრუქცია ზედ რომ არ დამმხობოდა და გავეჭყლიტე, მისი დაჭერა სცადა, მაგრამ რას დაიჭერდა. იქ, სადაც ის კონსტრუქცია დავარდა, იატაკზე ოცსანტიმეტრიანი ღრმული დარჩა.

იმ დღეს მართლაც განგებამ გადამარჩინა.

ასე იყო თუ ისე, ის რკინის კონსტრუქცია წამოაყენეს და თავის ადგილზე დააყენეს, ის ღრმულიც ამოავსეს და „დააკერეს", მაგრამ აღმოჩნდა, რომ დარბაზის მომსახურე პერსონალის ნაწილი შინ წასულიყო, მათ შორის, ისიც, ვისაც სათადარიგო კალათბურთის ფარი ებარა. ამასთან, უკვე შუაღამე იყო 12 თუ 1 საათი.

შეჯიბრებების დებულებით, მატჩი 15-20 წუთში თუ არ გადაწყდებოდა, მეორე დღისთვის გადათამაშება დაინიშნებოდა, მერე კი ამ მოგებულ შეხვედრას მეორედაც მოვიგებდით თუ ვერა, ღმერთმა იცის. აკი პუერტორიკოლები ამერიკელებმა ძლივს დაამარცხეს.

ამიტომაც გულგახეთქილი ვდგავარ და ჩემს თავს ვეუბნები, ვაი შენ ჩემო თავო, პტიცავ, ცუდადა შენი საქმე, ყველაფერი შენ დაგბრალდება: აქაურობის დალეწვაც, თანაგუნდელის დაჭრაც, გულშემატკივართა დასისხლიანებაც და იქნებ დამარცხებაც-მეთქი.

არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ჩემი ოლიმპიური გულისხეთქვა ოლიმპიადამდე ორი კვირით ადრე მოსკოვში დაიწყო. ნაკრების ოცზე მეტი კანდიდატიდან, როგორც იქნა, თორმეტნი შეგვარჩიეს და ნახევარი წლის განმავლობაში გაგვწურეს. ოლიმპიადამდე ორიოდე კვირით ადრე კი მოდიან და მეუბნებიან, რომში ვეღარ წამოხვალო, მიზეზი კი არ უთქვამთ. ვიფიქრე, გუნდში ორი ქართველი ვართ, მე და გურამ მინაშვილი. ჰოდა, ეტყობა, ქართველობა ებევრათ-მეთქი. მერე გავიგე, რომ თურმე რომში წამოყვანას არც მოსკოველ გენადი ვოლნოვს უპირებდნენ. ბოლოს მიზეზიც მოგვახსენეს... კომკავშირელები არა ხართო.

და ატყდა ერთი ამბავი. უმალ პარტიის ცეკაში დარეკეს, იქაც დატრიალდნენ და ორივეს სასწრაფოდ კომკავშირელთა რიგები შეგვავსებინეს, თითქოს უკომკავშიროდ ვერ ვითამაშებდით.

მოვლენებს წინ გავუსწრებ და, როცა თბილისში ჩემი მოსკოვური გაკომკავშირების ამბავი შეიტყვეს, ეტყობა, იუკადრისეს და ოლიმპიადიდან ვერცხლის მედლით დაბრუნებული კომკავშირში უმალ მეორედ შემიყვანეს, თითქოს ერთგზის კომკავშირელობა არ მეყოფოდა.

მაგრამ დავბრუნდეთ რომის სარბიელზე, სადაც ნერვიულობისგან ლამისაა გავთავდე კაცი. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჯონსონმა ამ ყოფაში რომ დამინახა, მოვიდა, თავზე ბავშვივით ხელი გადამისვა, მომეფერა და დამამშვიდა, შეხვედრას აშკარა უპირატესობით იგებდით, ამიტომ არავითარი გადათამაშება არ იქნება და ამ შეხვედრას ჩავამთავრებთო. იმ გასაღებიანი კაცის მოსაყვანად კი უმალ ვიღაც აფრინეს.

მანამ კალათბურთის ფარი აღადგინეს, მთელი ორი საათი გაილია, გულშემატკივრებმა კი, მიუხედავად იმისა, რომ შუაღამე იყო, იმ 58 წამის მოლოდინში ფეხი არ მოიცვალეს. მერე იყო ის 58 წამი და ჩვენი გამარჯვება (100:63), თუმცა, მედლებამდე ჯერ კიდევ შორი გზა გვედო.

პუერტორიკოელებთან მოგების მერე იყო ნახევარფინალურ ჯგუფში გამარჯვება ურუგვაისთან (89:53), იუგოსლავიასთან (88:41), მარცხი ამერიკელებთან (57:81), მერე კი ფინალური ტურნირი, სადაც ბრაზილიელებთან ავიღეთ რევანში (64:62), მოვუგეთ საკმაოდ ძლიერ მასპინძლებსაც (78:70), ამერიკელებთან ნახევარფინალური წაგება კი აქაც გადმოგვყვა და საბოლოოდ მათ მერე მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები ჩვენ მოვიპოვეთ. ვერცხლის მედლებთან ერთად შინ სახსოვრად წამოვიღე იმ კალათბურთის ფარის ნამსხვრევები, რომლებიც ჩემმა შვილიშვილებმა მთლად დაამსხვრიეს.



საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები: მაიგონის ვალდმანისი (კაპიტანი), ვალდის მოჟნიეკი, გურამ მინაშვილი, ალექსანდრ ტრავინი, მიხეილ სემიონოვი, ვლადიმერ უგრეხელიძე, იური კორნეევი, გენადი ვოლნოვი, ვიქტორ ზუბკოვი, ალბერტ ვალდინი, ალექსანდრ პეტროვი და იან კრუმინი



### მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი. მოსკოვი

# მოსკოვი ურეკორდოდ დაიშალა

**მოსკოვში** რუსთა გამარჯვებით დასრულდა მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი, სადაც მასპინძლებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს. ამ წარმატებაში ლომის წილი შეიტანეს ქალებმა, რომლებმაც რვა რუსული ოქროს მედლიდან შვიდი მოიპოვეს. ის ერთადერთი კაცური გამონაკლისი იყო იაროსლავ რიბაკოვი, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგით (2.37) იმარჯვა.

რუსები განსაკუთრებით გააწბილა მათმა ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა იური ბორზაკოვსკიმ. მან 800 მეტრზე რბენისას მცირეოდენი ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, რითაც უმალ ისარგებლეს მისმა მეტოქეებმა, კენიელმა ვილფრედ ბუნგეიმ და სამხრეთაფრიკელმა მბულანი მულაძიმ. კენიელმა საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა (1.47,15), ხოლო მულაძი მეორე იყო (1.74,16), ბორზაკოვსკი კი მესამე მიიჭრა ფინიშთან (1.47,38).

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა შარშანდელი მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანი ქალის, რუსი ელენა ისინბაევას გამოსვლა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მან ჭოკით ხტომაში ჩემპიონობა იზეიმა — 4,80 მ, თუმცა დარბაზებისთვის საკუთარი მსოფლიოს რეკორდი (4,93) ვერ გააუმჯობესა, რასაც ბევრი ელოდა. მიუხედავად ამისა, ისინბაევა თავისი გამოსვლით ძალზე კმაყოფილი დარჩა.

„დიდად ვემადლიერები მაყურებელს, რომელიც მამხნევებდა. მე ვგრძნობდი დარბაზის ენერგიას. ჩემი გამოსვლით 100 პროცენტით კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ გამარჯვება შევძელი, ხოლო მსოფლიოს რეკორდი დამატებითი საჩუქარი იქნებოდა მისთვის, ვინც ამას ელოდა, მაგრამ ეს არ გამომივიდა" — თქვა ისინბაევამ, რომელმაც სამჯერ ამაოდ სცადა დახურული დარბაზებისთვის მსოფლიოს რეკორდის გაუმჯობესება. მისი თქმით, იგი მსოფლიოს რეკორდთან ძალზე ახლოს იყო მეორე ცდისას, მაგრამ... „ამ გამარჯვებას ჩემს მშობლებს ვუძღვნი, რომლებიც მალე თავიანთი ქორწინების 25 წლისთავს იზეიმებენ.

ახლა კი ზაფხულისთვის მოვემზადები — ამბობს ისინბაევა — ჩემი მთავარი სტარტი ევროპის ჩემპიონატზე იქნება. მე ჯერ კიდევ ღია ცის ქვეშ არა მაქვს ევროპის ჩემპიონის ტიტული და მის დაუფლებას ვეცდები."



ლეგენდარულმა მარია მუტოლამ „თავისი" 800 მეტრი მოიგო

ქალთა შორის 800 მეტრზე გაიმარჯვა სახელგანთქმულმა მოზამბიკელმა მარია მუტოლამ (1.58,90).

სხვა სახელგანთქმულ სპორტსმენთაგან დიდ ყურადღებას იპყრობდა ეთიოპიელი ოლიმპიური ჩემპიონის კენენისა ბეკელეს გამოსვლა 3000 მეტრზე რბენაში, სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა კიდეც (7.39,32).

სამწუხაროდ ეს მსოფლიოს ჩემპიონატი ურეკორდოდ დასრულდა. აქ არ დამხობილა არც მსოფლიოსა და არც კონტინენტის რეკორდი, თუმცა იყო ერთი საინტერესო მიღწევა — ამ ტურნირის მსვლელობას ერთბაშად 50 ტელეკამერა იღებდა, რაც ისტორიას არ ახსოვს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# სპორტის ენციკლოპედია

## მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844





იანიცა კოსტელიჩი

# ახალ მეფეს გაუმარჯოს
## ბროლის თასი რაიხს დარჩა

2006 წელი ბენჯამინ რაიხისა გამოდგა. ტურინის ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა გასულ უქმეებზე იაპონიაში მსოფლიოს თასის მოგებაც დაიბევა. შიგა კოგენეში შაბათ-კვირას ნაჩვენები შედეგების (შაბათს პირველი, კვირას მეოთხე ადგილი) შემდეგ ავსტრიელის დამწევი საერთო ჩათვლაში უკვე აღარავინაა, რაც იმას მაუწყებელია, რომ რაიხმა კარიერაში პირველად შეძლო ბროლის დიდი თასის მოგება.

პრინციპში, რაიხის დამწევი რომ არავინ აღარ იყო, კარგა ხანია, ცნობილია — ბენჯამინის უახლოესი მდევარი მიხაელ ვალჰოფერი საერთოდ აღარ აპირებს წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობას, ხოლო მესამე ადგილზე მყოფ აქსელ ლუნდ სვინდალს დარჩენილი ხუთივე შეჯიბრი უნდა მოეგო, რაიხისთვის რომ გადაესწრო, რაც ფანტასტიკის სფეროს უფრო განეკუთვნება.

ამ წარმატების შემდეგ რაიხი ისეთი ლეგენდების გარემოცვაში აღმოჩნდა, როგორებიც კარლ შრანცი, ჰერმან მაიერი და შტეფან ებერჰატერი არიან — აქამდე მხოლოდ ამ ავსტრიელებს მოეგოთ ბროლის დიდი თასი და რაიხიც ამ საპატიო კომპანიის წევრად იქცა.

„დიდებულია, უბრალოდ ფანტასტიკური სეზონი იყო. შრომა დამიფასდა... ეს ჩემი ოჯახისა და მწვრთნელის გამარჯვებაცაა, მათ გარეშე ვერაფერს შევძლებდი... ავსტრიაში ეს სპორტის ნომერ პირველი სახეობაა და ამიტომ ჩემს თანამემამულეებს ყოველთვის სწადიათ, რომ პოდიუმზე მე, „ჰერმინატორი" ან რაინერი (ჰერბსტი) ვიდგეთ. წლეულს, მგონი, დავამტკიცე, რომ ამ გამარჯვების ღირსი ვარ" — ძალიან ემოციური იყო რაიხი.

ქალები კი ერთმანეთს ფინულ ლევიში ეჯიბრებოდნენ. აქ კვლავაც იანიცა კოსტელიჩისა და ანია პიერსონის ტრადიციად ქცეული ჯახი ვიხილეთ, რომელიც ამ უქმეებზე მთლიანობაში ფრით დამთავრდა — პარასკევს ხორვატმა იმარჯვა, შაბათს კი შვედმა. საბოლოოდ მოგებაში ალბათ მაინც კოსტელიჩი დარჩა, ვინაიდან საერთო ჩათვლაში უმთავრეს მდევარ პიერსონთან სხვაობა შეინარჩუნა და ძნელი სავარაუდოა, ეს უპირატესობა გაანიავოს.

გარდა საერთო ჩათვლის მოგებისა, დამდეგ უქმეებზე კოსტელიჩს სლალომის ჩათვლის მოგებაც შეუძლია. მართალია, ხორვატმა წლეულს სლალომის მხოლოდ ორი ეტაპი მოიგო, მაგრამ პოდიუმზე ასვლას ყოველთვის ახერხებდა. იანიცა 140 ქულით უგებს მეორე ადგილზე მყოფ ავსტრიელ მარლის შილდს, რომელსაც ტრავმა აწუხებს და შეიძლება, სეზონის ბოლო საერთოდ გამოტოვოს.

„მთლიანობაში ჩინებული სეზონი გამოვიდა... დღეს კი მართლა კარგად ვისრიალე. არადა, ტრასის სიძნელის გამო ბევრი ფინიშამდე ვერ მივიდა, ამიტომ ჩემი გამოსვლით უაღრესად კმაყოფილი ვარ" — ჩვეულად ენაწყლიანი იყო კოსტელიჩი.

**კახა ლომაშვილი**

**კაცთა საერთო ჩათვლა:** 1 ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) — 1310 ქულა; 2 მიხაელ ვალჰოფერი (ავსტრია) — 831; 3 აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) — 810

**ქალთა საერთო ჩათვლა:** 1 იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 1720 ქულა; 2 ანია პიერსონი (შვედეთი) — 1466; 3 მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 1228



# რეგულარული ჩემპიონატი

12 მარტი

**რეინჯერსი 2:3 ატლანტა**
*0:0 2:0 0:2 0:1*
1:0 სტრაკა (26), 2:0 იაგრი (28), 2:1 პეტროვიცკი (48), 2:2 კოვალჩუკი (56), 2:3 სავარი (63)

**ბუფალო 6:2 ბოსტონი**
*2:0 2:1 2:1*
1:0 როი (10), 2:0 აფინოგენოვი (15), 3:0 კოტალიკი (29), 4:0 კონოლი (35), 4:1 ალბერტსი (35), 4:2 ბოიზი (41), 5:2 ვანეკი (50), 6:2 ვანეკი (59)

**ვაშინგტონი 2:5 ოტავა**
*1:2 0:1 1:2*
0:1 ივზი (5), 0:2 რედენი (15), 1:2 კლარკი (17), 1:3 სპეცა (28), 1:4 ნილი (41), 2:4 ჰიუარდი (49), 2:5 ჰიტლი (57)

**კოლორადო 3:0 კალგარი**
*1:0 2:0 0:0*
1:0 ტანგეი (20), 2:0 საკიკი (34), 3:0 ჰეიდუკი (37)

**ჩიკაგო 3:5 დეტროიტი**
*1:3 1:0 1:2*
0:1 კროსი (2), 0:2 შენაჰანი (5), 0:3 დაციუკი (7), 1:3 ჰოლმკვისტი (15), 2:3 შარპი (26), 2:4 ზეტერბერგი (44), 3:4 კალენი (51), 3:5 შნაიდერი (53)

**მინესოტა 4:3 ედმონტონი**
*1:2 1:0 2:1*
1:0 როლსტონი (6), 1:1 ჰორკოფი (15), 1:2 სამსონოვი (18), 2:2 როლსტონი (28), 2:3 პიზანი (45), 3:3 სკოულა (49), 4:3 ბუშარი (52)

**პიტსბურგი 2:0 ფილადელფია**
*1:0 0:0 1:0*
1:0 არმსტრონგი (8), 2:0 არმსტრონგი (43)

**ანაჰაიმი 5:2 ფინიქსი**
*0:1 1:1 4:0*
0:1 კვაშა (18), 0:2 მარა (28), 1:2 ლუპული (40), 2:2 პოლსონი (43), 3:2 ფრიზენი (43), 4:2 პერი (54), 5:2 მარჩანტი (60)

# ბორჯღალოსნები შვებულებაში
## ჩეხეთი რეზერვისტებს დაუთმეს



ბადრი კეთილაძის ფოტო

ბორჯღალოსანთა მოიერიშე ირაკლი მაჩხანელმა ჩეხებს შარშან თბილისშიც გაუტანა ლელო

პორტუგალიის გადავლის შემდეგ საქართველოს ნაკრები თბილისში დარჩა და 18 მარტის ჩეხეთი — საქართველოს მატჩისთვის აგრძელებს შეკრებას. გუშინ და გუშინწინ პორტუგალიელი „მგლების" გამსალებელმა ბორჯღალოსნებმა დაისვენეს, დღეს კი ორჯერად ვარჯიშებზე გადავლენ.

ისე მოხდა, რომ ჩვენებმა მთავარი მეტოქეები უკვე მოილიეს და 2007 წლის მსოფლიოს თასზე გასასვლელი იოლი გზაც დაიბევეს. სასწაული უნდა მოხდეს, ბორჯღალოსნებმა 2005-06 წლების ჯამური მონაგარით საერთათასო მეორე ადგილი დათმონ. ჩვენებს ორადორი მატჩი დარჩათ, 18 მარტს სტუმრად ჩეხეთთან და ერთი კვირის თავზე კიევში უკრაინასთან. არახალია, რომ ამ ორი მატჩის მოგება ჩვენებს ნახევარი ძალით და გუნდით შეუძლიათ. დიდი-დიდი ჩეხებთან შეხვდეთ ისე რა წინააღმდეგობა, თორემ უქულო და უბადრუკ უკრაინას საჩვენო არაფერი გააჩნია.

ამიტომ რუსეთთან, რუმინეთთან და პორტუგალიასთან ნაჯახარი შემადგენლობიდან საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა რამდენიმე ლეგიონერს სანაკრებო შვებულება გამოუწერა: ამ უქმეებზე ზოგიერთი ლეგიონერის კლუბს საფრანგეთის ჩემპიონატში მნიშვნელოვანი მატჩი ელის და ჩვენებურებს ჩეხეთთან ლლაბუცობას კლუბის დახმარება ურჩობთ.

მწვრთნელებთან შეთანხმებით, პრაღაში ჩვენებს არ ეყოლებათ შერკინების გამწევი ძალა, მონფერანელი გოდერძი შველიძე და შერკინების ტვინი აქსენტი გიორგაძე. აქსენტის დარად, ჩეხებს ვერ გაუშრობს სისხლს მისი ძმა, ირაკლი, რომელიც ფრანგულ ელიტკლუბ „ბურგუენს" შეაშველებს ჯანს. არ იქნებიან ფლანკერი რატი ურუშაძე, ტულონელი ვეტერანი გია ლაბაძე და „კანის" მარდი და ფეხჩუბინი მოიერიშე მალხაზ ურჯუკაშვილი. მათ ნაცვლად ბორჯღალოსნებს ჩეხეთში წაჰყვებიან თბილისის „ლოკომოტივის" მორკინალი დავით გასვიანი, რკინიგზელივე უკანახაზელი მიხეილ სუთიაშვილი, „ხულიგანას" ჩაუქი ფლანგელი გიორგი შკინინი, „ლელოს" შუამარბი ლაშა ფირფილაშვილი, ფრანგული „შალონის" მორკინალი ბესიკ უდესიანი და ჯერაც უგუნდო პირველხაზელი გიორგი ჟღენტი. შკინინი და უდესიანი ბორჯღალოსანთა ძირითადი რაზმელები კი არიან, მაგრამ პორტუგალიასთან მატჩი ორივეს გაუცდა. შკინინს მძიმე ფორმის ალერგია ჰქონდა, ხოლო უდესიანს მამა გარდაეცვალა. შერკინების ბურჯი გიორგი ჟღენტი კი ნედლი ბორჯღალოსანია და 21-წლამდელთა ნაკრებიდან დააწინაურეს. ბორჯღალოსანი ბიძინა სამხარაძის დარად, მასაც შეეძლო წელმეორედ გალეგიონერება და რუმინულ „ფარულში" გაორმაგებული ხელფასით მოწყობა, მაგრამ კარპატელებს უარი შეუთვალა. „აჩქარება არ მინდა, რუმინეთის ჩემპიონატზე უკეთესი ვარიანტები მაქვს. დიდი შანსია, საფრანგეთის რომელიმე ძლიერ გუნდში გადავიდე" — გვითხრა ჟღენტმა.

პრაღაში საქართველოს ნაკრების მატჩის წინა დღეს ჩაფრინდება.

**ბაჩო სვანიძე**

**ქართველები ჩეხეთთან**

**შერკინება:** გიორგი ჟღენტი (უგუნდოდ), ზვიად მაისურაძე, დავით გასვიანი (ორივე ლოკომოტივი), გიორგი კუთარაშვილი, ილია ზედგინიძე (ექსი), მიხეილ სუჯაშვილი (პერიგო), ლევან დათუნაშვილი (ბორდო), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ბესიკ უდესიანი (შალონი), დავით ზერაქაშვილი (მონფერანი), გიორგი ჩხაიძე (მასი);

**უკანა ხაზი:** ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი), ბიძინა სამხარაძე (ფარული), პალიკო ჯიმშელაძე (ბობინი), თემურ სოხაძე (ვიარზონი), ბესიკ ხიმაშურიძე (როვიგო), ლაშა ფირფილაშვილი (ლელო), მიხეილ სუთიაშვილი (ლოკომოტივი), გიორგი შკინინი (ხულიგანა), გიორგი ელიზბარაშვილი (აკადემია), ოთარ ბარკალაია (ანდორა), ირაკლი მაჩხანელი (ბეზიე)

**ექვსი ერი 2006**

# სად იყვნენ ინგლისელები?
## მოედანზე მორაგბეები შეპარულან

11 მარტი. კარდიფი
**უელსი 18:18 იტალია**

დუბლინი
**ირლანდია 15:9 შოტლანდია**

12 მარტი. პარიზი
**საფრანგეთი 31:6 ინგლისი**

**საფრანგეთი:** კასტანი, რუჟერი, ფრიცი, ტრაი, დომინიკი; მიშალაკი, იაშვილი; ლივრემონი, მანე, ნიანგა, ტიონი, პელუ, დევილიერი, იბანესი, მარკონე

*შეცვლაზე შევიდნენ:* ვალბონი, ბონერი, ნალე, მილუ, შაშევსკი

3 ლელო: ფრელი, ტრაი, დომინიკი; 2 გარდასახვა: იაშვილი; 4 საჯარიმო: იაშვილი

**ინგლისი:** ლიუისი, კუეტო, ნუნი, ტინდოლი, კოენი; ჰოჯსონი, დოუსონი; კორი, მუდი, ვერსლი, გრივკოკი, ბორსვიკი, ვაითი, ტომსონი, სტივენსი

*შეცვლაზე შევიდნენ:* ვოისი, გუდი, ელისი, დალალიო, შუ, მირსი, შერიდან

2 საჯარიმო: ჰოჯსონი, გუდი

| IV ტური | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 0 | 1 | 127:69 | 6 |
| ირლანდია | 3 | 0 | 1 | 103:73 | 6 |
| ინგლისი | 2 | 0 | 2 | 96:78 | 4 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 2 | 65:71 | 4 |
| უელსი | 1 | 1 | 2 | 64:114 | 3 |
| იტალია | 0 | 1 | 3 | 62:112 | 1 |

„გულშემატკივართა უმეტესობამ პარიზული მატჩის ტრიბუნებიდან სანახავად ბილეთებში ფული გადაიხადა, თუმცა მოედანზე ვილაც თეთრ სარაგბო მაისურში გამოწყობილი ბიჭები აღმოჩნდნენ, რომელთაც თამაშის საცქერლად ყველაზე კარგი ადგილები დაიკავეს, ბილეთები კი არ შეუძენიათ.

„იმას, თუ გავითვალისწინებთ, რომ საჯარიმო სანქციები არ არის დაწესებული, სტადიონზე შეპარვისთვის მაინც უნდა გადაახდევინონ ფული" — ეს სიტყვები ინგლისის ნაკრების გამწარებულ ქომაგს, ვინმე მარტინ ბლისდეილს, ეკუთვნის, რომელმაც ერთ-ერთ ვებგვერდს დუბაიდან მისწერა.

ვინ იგულისხმა მარტინმა „სტადიონზე შეპარულებში" ადვილი გამოსაცნობია. ენდი რობინსონის ინგლისელ „ვარდებს" კვირას სალამოს გრანდისა არაფერი ეტყობოდათ. „სტად დე ფრანსის" ტაბლოზე მატჩის დაწყებიდან 5 წუთში ანგარიში უკვე 10:0 იყო საფრანგეთის ნაკრების სასარგებლოდ.

ინგლისელებმა ვერაფრით შეძლეს გამოფხიზლება, ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ, ბურთს ხელში ვერ იკავებდნენ და უაზროდ ჯარიმდებოდნენ. ერთადერთი, რაც ინგლისელებს პირველ ტაიმში გამოუვიდათ, ჰოჯსონის გატანილი საჯარიმო იყო. ფრანგებმა კი 16 ქულას მოუყარეს თავი.

ფლორიან ფრიცმა პირველივე წუთზე დაუმიწა ინგლისელებს, რასაც დიმიტრი იაშვილის გარდასახვა და კიდევ სამი გატანილი საჯარიმო მოჰყვა. ჰოჯსონის საჯარიმო კი პირველი ტაიმის ბოლო წუთის ამბავია.

მეორე ორმოცწუთეული ისე დაიწყო, როგორც პირველი დასრულდა. ჰოჯსონის მაგივრად გამოსულმა ენდი გუდმა ინგლისელებს საჯარიმო დარტყმით კიდევ სამი ქულა შეჰმატა. ეს იყო და ეს, მოედანზე ისევ მასპინძლები გაბატონდნენ.

ტრაის ლელოს ვერა, მაგრამ დომინისისას კი მიაყოლა იაშვილმა გარდასახვა, მანამდე მან ერთი საჯარიმოს გატანაც მოახერხა.

ფრანგებმა 31:6 მოიგეს. 25-ქულიანი სხვაობით „ლურჯებს" ინგლისელები აქამდე მხოლოდ ერთხელ, 34 წლის წინათ ჰყავდათ დამარცხებული.

საფრანგეთს ექვს ერზე გაპირველების ყველაზე დიდი შანსი აქვს, ირლანდიის დარად, მასაც 6 ქულა დაუგროვდა, თუმცა ბურთების შეფარდებით გვარიანად წინაა.



AFP ბარი ზადან

სხვა ფრანგებთან ერთად ინგლისელები დიმიტრი იაშვილმაც დააწიოკა

**ლადო წულუკიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge